# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 21 იანვარი 1999 №8 (781) | ფასი 50 თეთრი


3

## იქ ჯერ არაფერი გვესაქმება

ნაკრებს ყველაფერს ნუ განაცვალებთ

5

## სიკვდილი ბელგიასა და ჰოლანდიაში

რენე ნოტენი თბილისში ორჯერ იყო, 1972 წელს „ტვენტეს“, ხოლო 1981 წელს „ფეიენოორდის“ შემადგენლობებში. 1995 წელს იგი გულის შეტევით გარდაიცვალა. ამბობენ, სიკვდილის მიზეზი დოპინგი გახლდათ



7

## მოედანზე იყო თავადი...

ქართველები საბჭოთა ნაკრებში

### კახი ასათიანი



ბეკენბაუერის, მურის, რივერას, ბოლის და ჰერსტის კომპანიაში

8

## ვინღა რჩება ჩიკაგოში?



ჯორდანს და პიპენს შერეკილი დენის როდმანიც მიჰყვა



REUTERS მედლბურნიდან

აქამდე არცთუ შეხმატკბილებული ჩოგბურთის ვარსკვლავები ანა კურნიკოვა და მარტინა ჰინგისი მელბურნში წყვილად თამამმა დაამეგობრა. ამ მართლაც ვარსკვლავურმა დუეტმა პირველ წრეში ევა მელიკაროვასა და ჯული პულინს 6:3, 6:0 მოუგო

# „არმადა“ ფსკერისკენ წავიდა




„ესპანური არმადა“ სეზონის პირველი დიდი სლემის ავსტრალიურ ტურნირს დიდი ამბიციებითა და სრული შემადგენლობით ეწვია, მაგრამ სტუმრებს აქ გულღიად არ დახვედრიან.

იხილეთ მეათე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთხელ და სამუდამოდ შევამციროთ საზღვრები!

ბევრი პრობლემა, დიდი გაჭირვება, ნაკლები პროფესიონალიზმი... ამ სიტყვებში მთელი ქართული ფეხბურთი ჩაეტევა. კიდევ? კიდევ სრული განუკითხაობა, ქაოსი.

ამას წინათაც დავწერეთ და ახლაც გავიმეორებთ — თითქმის ყველამ, ვინც კი ფეხი გაიქნია და გოლი შეაგდო, უცხოეთში წასვლა, სამშობლოს დატოვება მოინდომა. გახშირდა უთავბოლო ტრანსფერები. არც იმას უყურებენ, სად მიდიან, ვისთან. მთავარია, აქაურობას გაეცალონ. რა კეთდებოდა ამის საწინააღმდეგოდ? მარტივად ვთქვათ — ფაქტობრივად, არაფერი. აბა, როცა ვინმე მოისურვებს და ხელისშემშლელი არავინა ჰყავს, სხვა რა გვეთქმის?

ახლა პატარა იმედი მოგვეცა. ეგებ ამ პრობლემას ნაწილობრივ მაინც დაადგეს საშველი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ ერთი გადაწყვეტილება მიიღო — ფედერაციაში არსებულ სატრანსფერო კომიტეტს სატრანსფეროვე კომისია შეაშველა. სად ერთი რომ იფიქრებს და გადაწყვეტს და სად ორი? ფუნქცია-ვალდებულება პრაქტიკულად ორივეს ერთი ექნება. რა? ამას უკეთ მიხვდებით, თუ სატრანსფერო კომისიის ხელმძღვანელის, ბატონ გოგა ხაინდრავას მონოლოგს წაიკითხავთ.

— მგონი, კარგი საქმე გაკეთდა, საქმე, რომელმაც კრიზისიდან უნდა გამოიყვანოს ჩვენი ფეხბურთი. ჩემი აზრით, ეს აუცილებელიც იყო. ერთხელ და სამუდამოდ, დავსხდებით, ყველაფერს ალვრიცხავთ. ბოლო-ბოლო დავადგენთ, რამდენი პროფესიონალი ფეხბურთელია საქართველოში. რა ბედი ეწევათ იმ მოთამაშეებს, ვინც ქვეყნის დატოვებას აპირებს, შესაძლო ტრანსფერებს როგორ გააფორმებენ, რა წერია თითოეულ პუნქტში. განვსაზღვრავთ ასაკს, რომლის შესრულებამდეც არავის ექნება უფლება, დატოვოს საქართველო. ყოველივე რომ კვალიფიცირებულად მოხდეს, ამიტომაც იყო საჭიროება, შექმნილიყო სატრანსფერო კომისია, რომელიც კომიტეტთან ითანამშრომლებს. აუცილებელია არაა, კომისიაში მაინც და მაინც იურისტი მუშაობდეს, თუმცა კი ერთ-ერთი პირველი, ვისაც ჩვენთან დავპატიჟებთ, საერთაშორისო სამართლის მცოდნე იქნება.

კონტრაქტი ჩვეულებრივი შრომითი ხელშეკრულებაა. როცა ის ფორმდება, ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, ფეხბურთელი ცუდ მდგომარეობაში არ ჩავარდეს. დღეს ფეხბურთი დიდი ბიზნესია. საქმეში ჩაუხედაობით კი შეიძლება ბევრი წავაგოთ. კიდევ ვიმეორებ, კომისია იმისთვის იქნება მოწოდებული, რომ აუტანელი მიგრაცია რალაც ჩარჩოში მოაქციოს, შევისწავლოთ ყველა ტრანსფერი, დავუკავშირდეთ იმ კლუბებს, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან ჩვენებური ფეხბურთელებით. როცა ტრანსფერი კეთდება, მოთამაშემ უნდა იცოდეს, რომ იგი დაცულია, მის უკან დგას საზოგადოება, მასზე ზრუნავენ. ჩვენ ვალდებულები ვართ, ვიცოდეთ, როგორ სრულდება თითოეული ხელშეკრულება.

კომისიის ჩამოყალიბების ძირითადი არსი სწორედ ეს არის. ჩვენ ასე გვესმის. სატრანსფერო კომისიის ვიზის გარეშე ტრანსფერი არ შედგება. ისე ნუ გაიგებთ, თითქოს ჩემი ნათქვამი მხოლოდ საერთაშორისო კონტრაქტებს ეხებოდეს. შინაურ ხელშეკრულებებსაც ვგულისხმობ, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეთ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა ფეხბურთელის ყოფილი კლუბი ან სკოლა ვერაფერს ხეირობს, სარგებელი არაფერი აქვთ. არადა, დღეს ყველა გაჭირვებულია, სახელმწიფო მათ ვერ ეხმარება. ყოველივეზე ფედერაციამ, კლუბებმა უნდა იზრუნონ. მათ უნდა გამოასწორონ მდგომარეობა და ამისი ერთ-ერთი საშუალება სწორი სატრანსფერო პოლიტიკაა. ფეხბურთელი ჩვეულებრივი ადამიანია, ადამიანის უფლებები კი ყოველთვის დაცული უნდა იყოს, რის გარანტადაც სატრანსფერო კომისია მიმაჩნია.

ჯერ ჩამოყალიბების პროცესში ვართ. სისტემატურ მუშაობას ორ-სამ კვირაში შევუდგებით. შევისწავლით ყველა ქვეყანაში მოქმედ სატრანსფერო კანონს.

რაც შეეხება კომისიის მიერ ვიზის გაცემას, გეტყვით, რომ კონკრეტულ შემთხვევებს ცალ-ცალკე განვიხილავთ, აქედან გამომდინარე კი შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ. ჩვენი უარის მიზეზებზე ალმასკომს მოვახსენებთ, ყველაფერს დეტალურად დავუსაბუთებთ. განსაკუთრებულ ყურადღებას კი როგორც ზემოთ ვთქვი, ახალგაზრდებს მივაქცევთ.

აი, ახლა ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია დამიკავშირდა. რომელიღაც მწვრთნელს გუნდთან გაუგებრობა ჰქონია კონტრაქტის თაობაზე. ეს ჩვენი პირველი საქმე იქნება. რადიო „ფორტუნას" ოფისში დავსხდებით და გავარკვევთ, რა მოხდა. ისე, რომ იცოდეთ, თავად ჟურნალისტი გახლავართ და მსურს დარწმუნებულები ბრძანდებოდეთ — კომისიას დასამალი არაფერი ექნება. მზად ვართ სათანამშრომლოდ. ჩვენს სხდომებზე თქვენც შეგეძლებათ დასწრება.

**კობა ინასარიძე**

# ჩიხრაძეც მოლოდინშია



ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველი გიორგი ჩიხრაძე ამჟამად თბილისშია და დიღომში, „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე ინდივიდუალურად ემზადება. ჩიხრაძე რამდენიმე წლის წინ უკრაინაში გადაბარგდა, სადაც დონეცკის „შახტიორის" ღირსებას იცავდა, მაგრამ შემდეგ ტრავმა მიიღო. გამოჯანმრთელებული ქართველი მცველი თბილისში დაბრუნდა და მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე „დინამოში" გაატარა. სეზონის დასრულების შემდეგ ჩიხრაძემ სცადა კარიერა ჩინეთში გაეგრძელებინა, მაგრამ აზიას ვერ შეეგუა და მალე კვლავ საქართველოში დაბრუნდა. 31 წლის ექსცხუმელი ახლაც „შახტიორის" საკუთრებაა, თუმც დონეცკში ხელმეორედ მიბრუნებას და უკრაინის ჩემპიონატში თამაშს არ აპირებს. გიორგის უახლოეს პერიოდში დაოჯახება განუზრახავს. ამასობაში მენეჯერებმა იქნება ახალი კლუბიც გამომიძებნონო, იმედს არ კარგავს ჩიხრაძე.

**ვანო ოქროპირიძე**

# მიდიან სკონტო მოსკოვში ჯელაძე სამსუნში

ლატვიურ „სკონტოში" ქართველთა მომრავლების შესახებ ადრეც ვიუწყებოდით. ამჟამად რიგის კლუბში ერთბაშად ექვსი ქართველი თამაშობს. „სკონტოში" დამკვიდრებულ ლევან სილაგაძეს და ალექსანდრე რეხვიაშვილს ნაკრების მეკარე იოსებ გრიშიკაშვილი, ვიტელი ზურაბ მენთეშაშვილი, ოდიშელი ლუხუმ ჯაბუა და არმიელი ლევან კორღალიძე დაემატნენ. ამჟამად ისინი „სკონტოსთან" ერთად ვარჯიშობენ. მართალია, კონტრაქტის პირობებზე კლუბის ხელმძღვანელებს საბოლოოდ არ შეთანხმებიან, მაგრამ გუნდთან ერთად თანამეგობრობის თასზე მიიღებენ მონაწილეობას და სავარაუდოდ, ამ ტურნირის გასრულების შემდეგ მოაწესრიგებენ ფორმალურ მხარეს.

ყოფილ თანამოძმეებთან შეხვედრებისთვის („სკონტო „ბ" ჯგუფში კიევის „დინამოსთან", განჯის „ქიაფაზთან" და აშხაბადის „კოპეტდაღთან" ერთად გამოვა) ლატვიელები გამალებით ემზადებიან. მათ ყველა საკონტროლო მატჩი წარმატებით ჩაუტარებიათ, ბოლო შეხვედრაში შიაულიაის „კარედა" 3:0 დაუმარცხებიათ (ამ თამაშში ერთი გოლი ლევან კორღალიძესაც გაუტანია). როგორც ჩანს, ყოველივემ გუნდის მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ სტარკოვი „მადაზე" მოიყვანა. ამის თქმის საფუძველს მისი ამასწინანდელი განცხადება გვაძლევს, დსთ-ს ტურნირზე წარმატების ყველაზე მეტი შანსი ჩვენ გვაქვსო.

ზემოთ ჩამოთვლილ ქართველ ფეხბურთელებთან ერთად მოსკოვში რუსთაველი არმაზ ჯელაძეც უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ რამდენიმე დღის წინ მან კლუბი დატოვა. ჯელაძე „სკონტოში" შარშან დეკემბერში გადავიდა „ვენტსპილსიდან". სტარკოვს სამომავლოდ მისი დიდი იმედიც ჰქონია, მაგრამ არმაზმა თურქეთი ამჯობინა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დღეისათვის იგი იქაურ უმაღლესჯგუფელ „სამსუნსფორში" ისინჯება და კლუბთან კონტრაქტის გაფორმებასაც ეშურება.

**პაატა ძვანტალიანი**

# ტორპედო ანთალიას მიემგზავრება
## თან ახვლედიანს და, ალბათ, ქებაძესაც იახლებს

თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დღეს ქუთაისის „ტორპედო" ანთალიის გზას უნდა დაადგეს. გუშინდელი ცნობით თურქეთს 27 კაცი გაემგზავრება, რომელთა შორის გუნდის ვიდეოოპერატორი და პრესმდივანიც იქნებიან.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ტორპედოს" თან კოლხყოფილი ბადრი ახვლედიანი გაჰყვება. საამისოდ ქუთაისელებს ფოთელთა გასტუმრება მართებთ, რისთვისაც მზად არიან.

გამორიცხული არაა, „ტორპედომ" თურქულ შეკრებაზე ბოლო დროს თბილისის „დინამოში" მოვარჯიშე ლევან ქებაძეც იახლოს. ქებაძის გადასაბირებლად საქართველოს ჩემპიონი ერთობ მოწადინებულია, თავად ლევანსაც „ტორპედოს" გაგონება არ სურს, მაგრამ ქუთაისელები დათმობას მაინც არ აპირებენ.

ანთალიაში იმერლები მინიმუმ 15 დღეს ივარჯიშებენ. თუმცა შესაძლოა კიდევ 5 დღესაც დარჩნენ. ეს იმაზეა დამოკიდებული, მისცემს თუ არა თურქეთის საკონსულო ქართულ დელეგაციას 20-დღიან ვიზას.

**იუზა ძაციტაძე**

# გოგიაშვილი სოჭში რჩება

დიახ, რუსული „ჟემჩუჟინას" მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბაიდაჩნიმ თავისი გაიტანა, ქართველი ნახევარმცველი გუნდში დაიტოვა. არადა, როგორც იცით, გოგიაშვილს გასული წლის დეკემბერში დაუმთავრდა „ჟემჩუჟინასთან" კონტრაქტი. ფეხბურთელიც ამ კლუბიდან წასვლას და საქართველოში თამაშს აპირებდა. გიორგის რამდენიმე ჩვენი გუნდი ეპატიჟებოდა, მაგრამ სხვებზე რეალური მაინც „ტორპედოს" ვარიანტი გახლდათ. მართალია, პირველი შეხვედრისას ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელობა და გოგიაშვილი პირობებზე ვერ მორიგდნენ, მაგრამ მათმა განმეორებითმა საუბარმა თითქოსდა შედეგი გამოიღო. ნააახალწლევს გიორგი სოჭს, როგორც თავად გვითხრა, „ჟემჩუჟინადან" გათავისუფლებასთან დაკავშირებული აუცილებელი ფორმალობების მოსაგვარებლად მიემგზავრებოდა, ჩათვალეთ 90 პროცენტით „ტორპედოში" ვარო. ქუთაისშიც დღედღეზე ელოდნენ მის გამოჩენას, მაგრამ...

გოგიაშვილს გუშინ დილაადრიანად დავუკავშირდით „ჟემჩუჟინას" საწვრთნელ ბაზაზე. გიორგიმ ესლა გვითხრა:

— ჩემი საკითხი გადაწყვეტილია, სოჭში ვრჩები. ამის შესახებ უკვე ვაცნობე „ტორპედოს" ხელმძღვანელობას. ბაიდაჩნი არ მომეშვა, ძალიან მჭირდები და ნუ წახვალო. სოჭს ფედერალური გადასახადი მოუხსნეს, როგორც ჩანს, ქალაქის მერია კლუბს ძველ ვალებსაც გაუსტუმრებს და ფინანსურ დახმარებასაც გაუზრდის. „ჟემჩუჟინაში" ორი საკონტროლო მატჩი ვითამაშე, ორჯერვე ნიჟნი-ნოვგოროდის „ლოკომოტივს" შევხვდით. პირველ შეხვედრაში, რომელიც 1:1 დამთავრდა, ბურთი მე შევაგდე საჯარიმოდან. 1 თებერვალს კვიპროსზე მივემგზავრებით.

**იუზა ძაციტაძე**

# ინალიშვილი ეძებს და ერთობა

ფოთის „კოლხეთის" შემადგენლობაში ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასგან" ნაწნევი სირცხვილის ერთ-ერთი მონაწილე, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი გელა ინალიშვილიც იყო. ამ დროსთვის ინალიშვილი ფოთელებს ჯერაც ნათხოვარი ჰყავდათ სამარული „კრილია სოვეტოვისგან". ამის მერე ინალიშვილმა, თუმც კვლავ რუსების საკუთრება იყო, მტკიცედ თქვა, სამარაში მიმბრუნებელი არა ვარ, ისრაელში მივდივარო. აღთქმულ მიწაზე კი წავიდა, მაგამ იქ ერთი თამაშიც არ ჩაუტარებია.

— სულ ათი დღე დავყავი და უკან დაბრუნება გადავწყვიტე, ჯერჯერობით აქ ვარ. თამაში როგორ არ მინდა, მაგრამ ჯერ არავის მივუწვევივარ, ინდივიდუალურად ვვარჯიშობ „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე, ვნახოთ მომავალში რა იქნება — გვითხრა გელამ.

იგი დიღომში არამარტო ინდივიდუალურად ვარჯიშობს, არამედ მეზობრებთან ერთად მინი-ფეხბურთის თამაშითაც იქცევს თავს. ამ გართობაში ნაკრების ყოფილი მოთამაშეები — კახა გოგიჩაიშვილი, გიორგი ჩიხრაძე და ყოფილი მარგველი თემურ მორგოშიაც მონაწილეობენ.

**გიორგი ვაშაკიძე**

# დოლიძეც იალტაში წავა

გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე სამტრედიის „იბერიის" მეკარე გუბაზ დოლიძის ნახვა გასაკვირი იყო. იგი ხომ ახლა გუნდთან ერთად უნდა ემზადებოდეს. თავისი თბილისში ყოფნა მან ასე ახსნა:

— კოჭის ტრავმა მაწუხებს და ვმკურნალობ. პირველი წრის ბოლო მატჩში, „კოლხეთთან" თამაშისას დავშავდი და გამიმიზეზდა. მკურნალობის პროცესმა ნორმალურად ჩაიარა, „იბერია" 5 იანვარს შეიკრიბა და გუნდთან ერთხელაც არ მივარჯიშია. ახლა, 27 იანვარს, იალტაში მივდვართ ორკვირიან შეკრებაზე და მეც აქედანვე ვიწყებ მზადებას მეორე წრისათვის. მეკარემ ისიც თქვა, გუნდიდან ვეტერანები და კარგი მოთამაშეები წავიდნენ, სანაცვლოდ ახალგაზრდები დაგვემატნენ ქუთაისიდან და სამტრედიის მეორე გუნდიდან, რა გვეშველება, არ ვიციო.

**გიორგი ვაშაკიძე**

# შუმახერა და დინამო გაიყარნენ



ბადრი კეთილაძის ფოტო

რამაზ სოლოლაშვილი

თბილისის „დინამოში" მომხდარ ცვლილებებზე წინა კვირის „სარბიელში" გამცნეთ. იმასაც გაუწყებდით, წასვლას გვარამაძე, ვანო მახარაძე, გუჩუა და სოლოლაშვილი ეშურებიანო. ამ ოთხიდან სამი გუნდში რჩება, რამაზ სოლოლაშვილზე კი, ნაღდად შეიძლება იმის თქმა, რომ გუნდიდან წავიდა. ეს ფაქტი თავად „დინამოს" თავკაცმა მურთაზ ხურცილავამაც დაგვიდასტურა, თვითონ ასე მოისურვა, გუნდთან ერთად ვარჯიშზე უარი თქვა და იძულებულნი გავხდით, გაგვეშვაო.

ახალგაზრდული ნაკრების მეკარემ „დინამოდან" წასვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც შეიტყო, გვარამაძეც დარჩება და ბათიაშვილიც დაიბრუნეს; ეტყობა, გუნდში ჩემი ადგილი არ არისო და მესამე მეკარეობას გაცლა ამჯობინა.

სოლოლაშვილს ახალი გუნდი ჯერ არ მოუძებნია. როგორც კი შევიტყობთ, სად ითამაშებს იგი, გაცნობებთ. ისე არაა გამორიცხული, იგი თავის მშობლიურ გუნდს, გორის „დილას" დაუბრუნდეს.

**გიორგი ვაშაკიძე**

სააქციო საზოგადოება
ბორის პაიჭაძის სახელობის
სტადიონის სამეთვალყურეო
საბჭო და დირექცია
მწუხარებას გამოთქვამენ
ბატონ დემიკო ლოლაძის
მამის
გარდაცვალების გამო და
სამძიმარს უცხადებენ
განსვენებულის ოჯახს

# გადაივლის ეს ზამთარიც...

## იქ ჯერ არაფერი გვესაქმება

*საზამთრო არდადეგები უდგას ეროვნულ ჩემპიონატს. უკვე ორმოცდაათი დღეა, რაც საქართველოს სტადიონებზე სიჩუმეს დაუსადგურებია. სიჩუმე კი ყოველთვის რაღაც ახლის, ამოუცნობის მომასწავებელია. რა იქნება ის ახალი და ამოუცნობი, გაზაფხულზე გაცხადდება. მოჰყვება ამ გარინდებას დიდი ჟრიამული, თუ ისევ იმ ნაცნობი სურათის ნახვა მოუწევთ გულშემატკივრებს?*

*აი, ეს კითხვა გვაწუხებს ყველას და ასე იქნება მანამ, ვიდრე პრობლემების დროულად, ჩვენს შემთხვევაში კი ზამთარშივე აღმოფხვრას არ დავეჩვევით. მეორე წრის დაწყებამდე ორმოცამდე დღელა დარჩა. უკვე უნდა შეიძლებოდეს დასკვნების გამოტანა. მომავლის სრულყოფილად განჭვრეტა თუ არა, რაღაც კონტურებს მაინც უნდა ვხედავდეთ. მერე გვიან იქნება და კვლავ სირაქლემას პოზას გავიშინაურებთ, დავიწყებთ წუწუნს, ეს რა ჩემპიონატია, შეგვირცხვენია ასეთი ფეხბურთი, უკან-უკან მივდივართო და სხვა ამგვარებზე ლაპარაკს.*

**მკურნალობას** რომ შედეგი მოჰყვეს, ამისთვის ორი რამაა საჭირო — მართებულად დასმული დიაგნოზი და მცოდნე მკურნალი. ახლა ბევრს ლაპარაკობენ ქართული ფეხბურთის პირამიდულ სტრუქტურაზე და ყველა აღიარებს ამ პირამიდის მწვერვალს ანუ ეროვნული ნაკრების პრიორიტეტს. ყველაფერი ნაკრებისთვის. მთავარია, ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა — აი, ასეთი ლოზუნგების ირგვლივ გაერთიანებულთ გვავიწყდება, რომ ყველაფერმა ამან დრო მოჭამა. გვავიწყდება ჩვენი შინაური საფეხბურთო ყოფა და არავინ ფიქრობს იმაზე, რა იქნება მერე. მერე, როცა მოვხვდებით იქ, რაზეც ვოცნებობთ და ლამისაა, ბოდვად გადაგვექცეს იქ მოხვედრა. იქ კი ჯერჯერობით არაფერი გვესაქმება. იქ მხოლოდ სირცხვილს ვჭამთ და თავი მოგვეჭრება, ისე გავიტეხთ სახელს, თავის გატეხვა სანატრელი გაგვიხდება. ჩვენი ეროვნული გათამაშების პატრონებს და ფაქტობრივად ლეგიონერების არყოლ ქვეყანას (კინკილა ქართველი ლეგიონერების გარდა) იქ მხოლოდ სასწაული თუ მოახვედრებს. სასწაულები კი თანამედროვე პროფესიულ ფეხბურთში არ ხდება და თვალი უნდა გავუსწოროთ ამ ჭეშმარიტებას. ისე, რა ჭირად გვინდა ისეთი სასწაული, რომელიც მიზანს გაგვიუფერულებს და სანანებელს გაგვიხდის მის ასრულ-ებას.

საფეხბურთო საქართველოს მისიას ერთ დღესა თუ ერთ თვეში ვერავინ განსაზღვრავს. ამას დრო სჭირდება მეცნიერული, საფუძვლიანი ანალიზის გარეშე ვერავინ იტყვის, სად არის ჩვენი ადგილი მსოფლიო საფეხბურთო სამყაროში, გრანდებში თუ საშუალოებში, პერსპექტიულებსა თუ მაჩანჩალა ქვეყნების ნუსხაში. მისია რომ განსაზღვრო, ჯერ საკუთარი შესაძლებლობები უნდა შეისწავლო სრულყოფილად, უნდა იცოდე, რა სენი გჭირს და სწორად წამლობდე. აქ თუ ავჩქარდით და მცდარი დასკვნები გამოვიტანეთ, მისია კი არა, შეიძლება საერთოდ ფუნქცია დავკარგოთ, საფეხბურთო ფუნქცია და ბურთის გორება მხოლოდ გასართობად გადაგვექცეს. ზმანებას უნდა განვერიდოთ, წარსული დიდების ეიფორიიდან დროზე გამოვიდეთ და იმას შევნატროდეთ, რასაც მაღალი დონის ეროვნული ჩემპიონატი ჰქვია, მისთვის მახასიათებელი ყველა კომპონენტით.

არ მოგენატრათ გადაჭედილი ტრიბუნებიდან ლამაზი, ჯიგრიანი ქართული ფეხბურთის ცქერა? ეჰ, მოგვენატრა და მერე როგორ. ეროვნული ჩემპიონატი — თავიდათავი ყველა დონეზე (საკლუბო თუ სანაკრებო) წარმატებისა და წარუმატებლობისა. ეროვნული ჩემპიონატი — ხერხემალი ქართული ფებურთის ერთიანი, ცოცხალი ორგანიზმისა, მთავარი საყრდენი პირამიდისა. ვიდრე არ ვაღიარებთ ამ აქსიომას, არაფერი გვეშველება. ეროვნული ჩემპიონატის უპირველესი მახასიათებელი

### ფეხბურთელები

ქართველი ფეხბურთელები გაუსაძლის ყოფაში არიან. მათი დონე საშუალოზე დაბალია. ამას უამრავი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები განაპირობებს. აღარ მოვყვები ყოველივეს ჩამოთვლას. ეს ყველასთვის ისედაც ნათელია. ბოლო წლის განმავლობაში მხოლოდ ორად-ორი სერიოზული ტრანსფერი განხორციელდა. ქინქლაძის — „აიაქსში“ (სამწუხაროდ უშედეგო) და გახოკიძის — „ეინდჰოვენში“ გადაბარგება. დამეთანხმებით, წვეთია ზღვაში.

შინაურ ტრანსფერებს კი კაცი ვერ გაუგებს თავს და ბოლოს. მართლაც ნამდვილი ქართული დომხალია. ვერ გაიგებ, ვინ სად ისინჯება, ვინ რომელი გუნდის საკუთრებაა, ვინ განათხოვრებულია და ასე შემდეგ. მთავარზე მთავარი — არავინ იცის, კლუბებს რამდენი ფეხბურთელი ჰყავთ (კონკრეტული ციფრი) კონტრაქტით დასაკუთრებული. ჰოდა, თამაშობენ ფეხბურთელები კვირაობით ხან ერთ გუნდში, ხანაც — მეორეში. არა, ამას ადვილად მოევლება და ყველაფერი გამოსწორდება, მაგრამ იმას რა ვუყოთ, ქართველ მოთამაშები პროფესიულ აზროვნებაში ასე რომ მოიკოჭლებენ. მათ არ იციან, რას ნიშნავს თავისუფალი აგენტის ცნება, მენეჯერებისა და ადვოკატების არსებობის შესახებაც ბუნდოვანი წარმოდგენა თუ აქვთ.

მრავალი მაგალითი გვინახავს, ახლო უცხოეთში როგორ წაჰყვებიანხოლმე ნაცნობ ფეხბურთელებს გუნდებში გასასინჯად და დადიან კარდაკარ. მერე? მერე ცნობილი ამბების მოსმენა გვიხდება — პირობებმა არ დამაკმაყოფილა, ფეხის ცერა თითი მოვიტეხე, მენისკმა შემიშალა ხელი, ხელფასი მეცოტავა, ამპლუა შემიცვალეს და სხვა. სიმართლე კი ყველამ ვიცით, რა არის. უცხოელები კარგა ხანია, პროფესიულ რელსებზე დგანან და იციან, ვის რა ფასი აქვს და ადგილი. იციან ელემენტარული სატრანსფერო წესები (იურიდიული).

კიდევ ერთი სენი სჭირთ ჩვენს ფეხბურთელებს — მოხეტიალეთა სინდრომი. ამას კი ფინანსურ თვალსაზრისთან ერთად კლუბის ღირსებისადმი ზერელედ დამოკიდებულება განაპირობებს. დიახ, რაც საქართველოში ამ მხრივ ხდება, ალბათ, ვერცერთ სხვა ქვეყანაში ვერ ნახავთ. ისე უპრობლემოდ მიატოვებენ საკუთარ (იმ მომენტისთვის) გუნდს, ვითომ არაფერი. თანაც სწორედ იმ კლუბს მიაშურებენ, თავის ყოფილთან უშუალო კონკურენტად რომ გვევლინებიან. ეჰ, რა დროს ღირსებააო, ალბათ, იფიქრებენ და... ისე, მართლა საკითხავია, შერჩათ კი ღირსება ქართულ კლუბებს?

### კლუბები, პრეზიდენტები, მწვრთნელები

ამათ თავისი გასჭირვებიათ. მოდით, შევეშვათ მეათე ეროვნულის შედეგების მიხედვით მათ დახასიათებას. ვნახოთ, ახლა რას აკეთებენ, როგორ ემზადებიან გაზაფხულისთვის. არავითარი სიახლე და ცვლილება. პრინციპი, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდეს, აბსოლუტურად დაცულია. არანაირი განვითარების პროგრამა, გეგმა. ყველაფერი სპონტანურად ხდება. ფულიანი მეპატრონეების ძიებაში ავიწყდებათ, რომ ეკალზე ვარდი არასოდეს ამოვა და მარცვალი რომ გაღვივდეს, ნოყიერი ნიადაგის მომზადებაა საჭირო.

ფული არა გვაქვსო, იტყვიან გუნდების მესვეურები, გაკოტრების პირას ვდგავართო. თქვე დალოცვილებო, 200 ათასი დოლარი რომ ჩადეთ საკლუბო აქციებში და ერთ წელიწადში მოინდომეთ სამჯერ მეტის მოვნა, აბა, რა გეგონათ. ერთ თვეში რომ დაყიდეთ ჩალის ფასად ის ნიჭიერი ფეხბურთელები, არიქა, წაგებაზე ვართო, ხომ ნახეთ, იმ მოთამაშეებში ახალმა მესაკუთრეებმა ათჯერ მეტი აიღეს ორი წლის შემდეგ. ფეხბურთს მხოლოდ ბიზნესის თვალით თუ შეხედავ, ისე წაგივა საქმე, საერთოდ ბურთის დანახვა შეგზიზღდება.

იმას მაინც რა დიდი სახსრები სჭირდება, კლუბის ბუკლეტები რომ გააკეთოთ, გულშემატკივართა კლუბები ჩამოაყალიბოთ, ქომაგები გუნდის სიმბოლიკიანი კაშნებით, დროშებით შეაიარაღოთ. ეს ყოველივე ხომ კლუბის ღირსების ერთ-ერთი მახასიათებელი ატრიბუტია. ხომ უნდა იგრძნონ ფეხბურთელებმა, ვის მაისურს ატარებენ და ვინ უჭერს მხარს ტრიბუნებიდან. თამაშის დღეს აფიშა რომ გაიკრას ქალაქის რამდენიმე ადგილას, ამასაც ათასები სჭირდება?

ჩვენს ჩემპიონატს ამ მხრივ თუ გადავხედავთ, ჰორიზონტზე ერთი ნათელი წერტილი მოჩანს „ვიტ ჯორჯიას“ სახით. იციან ამ ხალხმა თავიანთი საქმე, იციან სად ჩადეს ფული და ეტაპობრივად, აუჩქარებლად ახორციელებენ ჩანაფიქრს. ყოველთვის ისეთ მიზანს ისახავენ, რისი მიღწევაც ძალუძთ და ნელ-ნელა იღვივებენ ამბიციას, ღირსების გრძნობას. და თუ ასე გაგრძელდა, სულ მალე ეს უტრადიციო გუნდი მომავალი თაობებისთვის ერთ-ერთ საოცნებო კლუბად გადაიქცევა. აი, მაშინ კი შედეგიც მოვა უცილოდ.

შედეგის მომასწავებელ მთავარ ფიგურად კი ფეხბურთში მწვრთნელი გვევლინება. გუნდში ვარსკვლავებიც რომ იყვნენ, მწვრთნელი თუ არ ჰყავს ნიჭიერი, კაპიკია მისი ფასი. თანამედროვე ფეხბურთში ამის უამრავი მაგალითია და ალტერნატივა არ არსებობს.

ქართველ მწვრთნელთა მომზადების დონე (ერთი-ორის გამოკლებით) ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ამას მოსამზადებელი პერიოდიც ადასტურებს, სეზონზე რომ არაფერი ვთქვათ. ხშირად გაიგონებთ ფეხბურთელების წუწუნს ვარჯიშის მერე, ფეხზე ვერ ვდგავართო, ანაც პირიქით. მოთამაშეთა მომზადებას ფეხბურთში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამის შესახებ უცხოეთში უამრავი წიგნი არსებობს, რომლებიც სამედიცინო კლინიკებშია დამტკიცებული. ახალის შექმნა თუ არ ძალგვიძს, [illegible] ქართულებას მაინც რაღა უდგას წინ? გუნდი გინდა, ანთალიაში წაიყვანე, გინდ იალტასა თუ ბულგარეთში, თუ დამრიგებელმა სწორად წვრთნის ელემენტარული ანბანი არ იცის, ამაო ხარჯი იქნება.

მერე კი დაიწყება გათამაშება და ისმის უკმაყოფილო რეპლიკები თავკაცთა მისამართით, ყველაფერში მათ დებენ ბრალს. მოდით, დავითვალოთ, რამდენ გუნდს მოუხდა მწვრთნელთან განშორება მეათე ეროვნულის პირველ წრეში. არც მეტი, არც ნაკლები — რვას. ესე იგი, თექვსმეტიდან ნახევარს. აქ კი კომენტარს აზრი ეკარგება. არც იმაზე მსჯელობა ღირს, თუ როგორ გვათახსირებენ ევროსარბიელზე, როგორ გვიბღალავენ საკლუბო ღირსებას, თუ გვქონდა საერთოდ მსგავსი რამ.

მშიშარა მწვრთნელების აჩრდილი დადის საქართველოში. მწვრთნელები, რომლებიც თვალებში შესციცინებენ გუნდის მეპატრონეებს, თამაშის მსვლელობისას ფეხზე წამოდგომას ერიდებიან გულშემატკივრის შიშით, ფეხბურთელებს შენიშვნებს ვერ უბედავენ, მოთამაშეთა შორის არსებულ „დედოვშჩინაზე“ თვალს ხუჭავენ და... აღარ ღირს გაგრძელება, ყველაფერი მართლაც არ ითქმება. იქნებ გვეღირსოს ამ ტანჯვის დასასრულის ხილვა.

### ფედერაცია და მსაჯები

სფფ-ს ყრილობის წინა დღეს ვწერდით — ტრაგედიის დასასრულის დასაწყისი? ნათქვამია, თევზი თავიდან ყარსო. ძველი ფედერაციის ცოდვებმა გვიწია და ვინ იცის, რა დრო დასჭირდება საქმის გამოსწორებას. ახლების საქმიანობას ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს, კრიტიკას კი ყოველთვის არგუმენტები და დასაბუთება სჭირდება. ამ მომენტისთვის შენიშვნით უნდა შემოვიფარგლო.

პირველ თებერვალს სპორტის სასახლეში მინი-ფეხბურთის ტურნირი იწყება და მასში 12 პირველი ჯგუფის გუნდი მიიღებს მონაწილეობას. რამდენიმემ უარი შემოთვალა, მზადების პროცესში ხელს შეგვიშლისო. მეც იმათ მხარესა ვარ. როცა ქართველი ფეხბურთელები უცხოელებს ეთამაშებიან, ყოველთვის ერთი დეტალია თვალშისაცემი. ჩვენებურები (ტექნიკით დაჯილდოებულნი) სულ სხვა ფეხბურთს თამაშობენ, ისინი — სხვას. ჩვენი ბიჭების ბურთაობაში სწორედ მინი-ფეხბურთისთვის მახასიათებელი კომპონენტები სჭარბობს და უჭირთ ამ ჩარჩოებიდან გამოსვლა. ამ ტურნირს უფრო სანახაობრივი და ფინანსური თვალსაზრისი განაპირობებს და გუნდების შეთამაშებასა თუ სხვა დადებით ნიუანსებზე ნაკლებად იმოქმედებს. საქართველო, მადლობა ღმერთს, კლიმატურად ერთობ ნორმალურ სარტყელშია და თავისუფლად შეიძლება, ზამთარში ღია ცის ქვეშაც აგორო ბურთი. იქნებ აჯობებდა, მაგალითად ნოდარ ახალკაცის თასის გათამაშება (ყოველწლიური) მოგვეწყო დიდ სტადიონებზე. მგონი, ეს უფრო წაადგებოდა საქმეს. მსაჯების შემოწმების კიდევ უფრო კარგი საშუალება გვექნებოდა. არბიტრებზე იმდენი დაიწერა, თავს აღარ შეგაწყენთ. ამ მხრივ მართლაც შესაშური საქმიანობა მიმდინარეობს. ობიექტური მსაჯობა ხომ ნაღდი, კაცური ფეხბურთის საწინდარია, მშვიდი, დაწყნარებული გულშემატკივრობის განმსაზღვრელია. რა სჯობს, როცა ქომაგებს არბიტრის გამო ნერვები არ ეშლებათ.

### გულშემატკივარი

ფეხბურთი მათთვის შეიქმნა. ქართული ფეხბურთის დღევანდელ წარუმატებლობაში მათ ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვით. ისინი ყოველთვის ამბიციურები და მართლები არიან. მიუხედავად ყველაფრისა, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე მაინც დადიან, არასდროს შეურიგდებიან ქართული ფეხბურთის ასეთ ყოფას. მათ სჯერათ მომავლის. ნუ მოუკლავთ ქომაგებს გულს და იმედს.

**ხვიჩა სანიკიძე**



საფეხბურთო პირამიდის მწვერვალს ანუ ეროვნულ ნაკრებს ყველაფერს ნუ ვანაცვალებთ

# უფრთხილდით კანუს!




ნვანკვო კანუ არსენ ვენგერის გუნდში 25-ნომრიანი მაისურით ითამაშებს

რამდენიმე წლის წინ ამსტერდამის „აიაქსის" სკოლამ უნიჭიერესი თაობის აღზრდა დაასრულა. ეს პირველ ყოვლისა ამ სკოლაში არსებული პირამიდის წვერს, „აიაქსის" პირველ გუნდს დაეტყო და შედეგმაც არ დააყოვნა — 1995 წელს ჰოლანდიის უტიტულოვანესმა კლუბმა ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა, შემდეგ კი საკონტინენტთაშორისო თასსაც გამოჰკრა ხელი. 1996-ში „აიაქსი" კვლავ ბრწყინავდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „იუვენტუსთან" პენალტების სერიაში დამარცხდა.

მაშინ ამსტერდამელთა ღირსებას ეს ახალგაზრდები იცავდნენ: მიხაელ რაიციგერი, ვინსტონ ბოგარდი, კლარენს ზეედორფი, ედგარ დავიდსი, პატრიკ კლუივერტი, ნვანკვო კანუ. აგრეთვე შედარებით მოზრდილი ტყუპი დე ბურები და მარკ ოვერმარსი. შთამბეჭდავი ჩამონათვალია, არა?

ეს მაშინ. დღესდღეობით კი მათგან აღარც ერთი არ არის „აიაქსში". ახალგაზრდები დავაჟკაცდნენ, მსოფლიო დონის ვარსკვლავებად იქცნენ და პლანეტის სხვადასხვა, გიგანტ კლუბებში მიმოიფანტნენ.

რაიციგერი, ბოგარდი, კლუივერტი, დე ბურები. იმ თაობის დიდი ნაწილი დღეს „ბარსელონაშია" თავმოყრილი. კატალონიელთა მოსისხლე მტრის, მადრიდის „რეალის" მაისური აქვს მორგებული ზეედორფს. დავიდსი ტურინის „იუვენტუსის" ხერხემლად მოგვევლინა, ოვერმარსი კი ინგლისის ჩემპიონის, ლონდონის „არსენალის" ერთ-ერთ ლიდერად.

და კანუ.

სწორედ მასზე გვექნება საუბარი.

ცოტა შორიდან დავიწყოთ. ამსტერდამელთა მიგრაციამ ყმაწვილი ნიგერიელიც ჩაითრია და იგი მილანის „ინტერში" აღმოჩნდა. ამავდროულად ერთი ამბავიც გაირკვა — კანუს ჯანმრთელობა, მეტიც, სიცოცხლე, საფრთხეში იყო, მას გული აწუხებდა, თანაც ძალიან.

პატარა სკანდალიც გამოცხვა. „ინტერი" აბობოქრდა — ჰოლანდიელებმა იცოდნენ ნვანკვოს კარდიოლოგიური მდგომარეობა, ისიც კარგად უწყოდნენ, რომ მას ველარ გამოიყენებდნენ და უსინდისოდ ჩვენ „შემოგვტენესო". თუმცა ვერაფერს გახდნენ — უბრალოდ, ვერ დაამტკიცეს თავიანთი ეჭვების მართებულობა.

რაღა დარჩენოდათ. დაიწყო მეტად ხანგრძლივი პროცესი — კანუს მკურნალობა. დაიწყო უიმედოდ, რადგან ექიმები მხოლოდ ხელებს ასავსავებდნენ, შეიძლება სიცოცხლე შევუნარჩუნოთ, მაგრამ იმის იმედი ნუღარ გექნებათ, რომ ეს ბიჭი ბურთს კვლავაც გააგორებსო.

მიუხედავად ყველაფრისა, სასწაული მოხდა. ამერიკაში ჩატარებული უმძიმესი ოპერაციის შემდეგ კანუ ვარჯიშს შეუდგა. მერე სერია A-შიც გამოჩნდა, „ინტერის" მატჩებზე, ძირითადად ბოლო წუთებში. და აღმოჩნდა — კანუ ამბიციური ბიჭი ყოფილა, მას მოვლენათა ამგვარი განვითარება, ანუ სათადარიგოთა სკამის „ხეხვა" ხელს არ აძლევდა.

ამ პატარა ისტორიის ფინალი ჩვენ უკვე შეგატყობინეთ: ლონდონის „არსენალს" ნიგერიელი ფორვარდი შეემატა, მილანის „ინტერს" — 4 მილიონი გირვანქა.

— ჩემპიონთა თასი ერთხელ მოვიპოვე, მაგრამ ამით დაკმაყოფილებას ნაღდად არ ვაპირებ. ვფიქრობ, შესანიშნავი არჩევანი გავაკეთე, გადავედი კლუბში, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს კვლავ ამიყვანს საკლუბო ტურნირების მწვერვალზე.

ეს ლონდონელი კანუს პირველი სიტყვები გახლავთ „არსენალთან" კონტრაქტის გაფორმების შემდეგ. ერთი დღით ადრე მას სერიოზული სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა. ინგლისელი ექიმების ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით კანუს მუხლი და გული მოექცა. 22 წლის ფეხბურთელის საბედნიეროდ, ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა და „მეთოფეებს" კიდევ ერთი ექსაიაქსელი შეემატათ — ამიერიდან მეტოქეთა დაცვას მარკ ოვერმარსთან ერთად ნვანკვო კანუც დააწიოკებს. როგორ, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული.

ბოლოს ორი ცნობილი სპეციალისტის აზრს გავეცნოთ კანუს შესახებ. ერთი არსენ ვენგერია, „არსენალის" ფრანგი დამრიგებელი, მეორე კი როი ჰოჯსონი, მილანის „ინტერის" ყოფილი თავკაცი.

— მე ზუსტად ვიცი და მალე ამას ყველა დაინახავს — კანუ მხოლოდ მაშინ თამაშობს უმაღლეს დონეზე, როდესაც მინდორზე გასვლის საშუალება რეგულარულად ეძლევა. იტალიაში ასე არ იყო, ჩვენთან კი იგი ძველებურად ათამაშდება — გოლებს თავადაც გაიტანს და პარტნიორებსაც გაატანინებს. მერწმუნეთ, ასე იქნება — ვენგერი ჭკვიანი კაცია და 4 მილიონ გირვანქას წყალში არ გადაყრიდა.

ჰოჯსონმა კი ეს თქვა.

— მასთან ძალიან ხანმოკლე ურთიერთობა მქონდა. „ინტერში" მუშაობისას სულ რაღაც სამი კვირა ვავარჯიშებდი, მერე კი გულმა შეაწუხა. თუმცა დროის ამ მცირე მონაკვეთში ერთი რამ ნათლად დავინახე — კანუ საოცარი ტალანტის პატრონია. „არსენალის" მომავალ მოწინააღმდეგეებს ვურჩევ — უფრთხილდით კანუს!

მოამზადა
დავით ძოწზირიძემ

## ფეხბურთის ყოველდღიური... [illegible]



**იტალიელ** თავდამსხმელ პაოლო დი კანიოს პრემიერლიგაში დაბრუნება უჭირს. „შეფილდ უენსდეის" ფეხბურთელს, რომელსაც სექტემბრის ბოლოს მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის 11 პრემიერლიგური მატჩი გამოატოვებინეს, შინ, იტალიის ქალაქ ტერნში ინგლისური კლუბის წარმომადგენლები ეწვივნენ. თუმცა დი კანიომ მათ უთხრა, რომ იგი ჯერ მზად არაა პრემიერლიგაში დასაბრუნებლად. ფეხბურთელი ფსიქოლოგიურად ვერაა სათანადო დონეზე. კლუბის გენერალურმა მდივანმა გრემ მაკრელმა და დირექტორმა ჰოვარდ კალიმ განაცხადეს, რომ სანამ 30 წლის ფეხბურთელი გუნდს არ დაუბრუნდება, მანამ კუთვნილ გასამრჯელოს ვერ მიიღებს.

**ინგლისის პრემიერლიგამ ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „ასტონ ვილა" 26 ათასი დოლარით დააჯარიმა მითითების შეუსრულებლობის გამო. ბირმინგემელებმა გასულ სეზონში მესამე დივიზიონის „ბრაიტონიდან" ყმაწვილი მცველი გარეთ ბარი შეიძინეს და კლუბს 150 ათასი გირვანქაც გადაუხადეს, თუმცა კიდევ 200 ათასი გირვანქის მიცემა შეაგვიანდათ. „ასტონ ვილა" ვალდებული იყო, ზემოხსენებული თანხა მაშინვე გაესტუმრებინა, როგორც კი ბარი პრემიერლიგაში 20-ზე მეტ შეხვედრას ჩაატარებდა. პრემიერლიგის წარმომადგენელმა მაიკ ლიმ განაცხადა, „ასტონ ვილა" იმიტომ დაჯარიმდა, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება დაარღვიაო.**

**რუსეთის** ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი" ტრავმებმა გატანჯა — სამი ტრავმირებული ფეხბურთელით დაბრუნდა ისრაელიდან, სადაც მოსამზადებელ ეტაპს გადიოდა. „სპარტაკის" და ქვეყნის ნაკრების მცველი დმიტრი ანანკო დაახლოებით სამ თვეს დაისვენებს ფეხის ცერა თითის მოტეხილობის გამო. მის თანაგუნდელებს დმიტრი ხლესტოვს და ევგენი ბუშმანოვს კი შესაბამისად საზარდულის და მუხლის ტრავმები აქვთ. ზემოხსენებულმა ფეხბურთელებმა შესაძლოა ვერც ნაკრებში ითამაშონ. შეგახსენებთ, რომ 27 მარტს რუსეთის ნაკრები ერევანში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ეგიდით მასპინძლებს შეხვდება. ეს ნაკრების მწვრთნელად დაბრუნებული ოლეგ რომანცევისთვის პირველი შეხვედრა იქნება.

**შოტლანდიელმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა, რომელიც აგერ უკვე 13 წელია, „მანჩესტერ იუნაიტედს" თავკაცობს, განაცხადა, რომ მწვრთნელობას სავარაუდოდ 2003 წელს დაანებებს თავს. ფერგიუსონი, რომლის ხელმძღვანელობითაც ოლდტრეფორდელებმა შესამჩნევი პროგრესი განიცადეს, პენსიაზე გასვლას მომავალ წელსვე აპირებდა, მაგრამ გადაწყვეტილება შეცვალა.**

**გერმანიის** ობერლიგის კლუბი „ბონერი" კუბის ნაკრებს დახმარებას გაუწევს. გერმანელთა მიწვევით ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის 15 მოთამაშე და ექვსი მწვრთნელი მარტის დასაწყისში გერმანიას ეწვევა და „ბონერის" ბაზაზე, ქალაქ ბონთან ახლოს თვენახევრით დარჩება. ამ ხნის განმავლობაში მათ მასპინძლები ავარჯიშებენ და ტაქტიკურ მეცადინეობებს ჩაუტარებენ. „ბონერის" წარმომადგენელმა ფრიდრიხ ტოლერმა თქვა, რომ სანაცვლოდ კუბის ნაკრები გერმანული კლუბის მაისურით ითამაშებს.

**ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი კარლტონ პალმერი ერთი სუსტი გუნდიდან მეორე დაუძლურებულ კლუბში გადაბარგდა — მცველმა „საუთჰემპტონისას" „ნოტინგემ ფორესტის" მაისური ამჯობინა. ტრანსფერი 1,8 მილიონი დოლარი დაჯდა. კარლტონ პალმერი პირველი ფეხბურთელია, რომელიც „ნოტინგემის" ახალმა მწვრთნელმა რონ ატკინსონმა გადაიბირა. სხვათა შორის, პალმერს და ატკინსონს მანამდე ერთად უმუშავიათ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონსა" და „შეფილდ უენსდეიში". ფეხბურთელმა ახალ კლუბთან 2001-02 წლების სეზონის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი. პალმერის დებიუტი ახალი კლუბის შემადგენლობაში შესაძლოა 30 იანვარს „ევერტონთან" შედგეს. კარლტონ პალმერს 90-იანი წლების დასაწყისში ნაკრებში 18 მატჩი უთამაშია.**

**ჰოლანდიის** „ნაიმეგენის" სარბიელის „გოფერშტადიონის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ რეკონსტრუქციის გამო სტუმარი გუნდების გულშემატკივრების მიღება გაჭირდება. სტადიონის თავკაცობა კარების უკანა ტრიბუნების შეცვლას აპირებს, ეს ადგილები კი სტუმარი გუნდის ქომაგთათვის იყო განკუთვნილი.

## ინგლისი

თასის მესამე წრის გადათამაშება.

**ბარნსლი 3:1 სვინდონი**

1:0 მაკკლეირი (56), 2:0 ბალოკი (83), 2:1 უოლტერსი (85), 3:1 ჰინეტი (90)

მეოთხე წრეში „ბარნსლი" „ბორნმუთს" უმასპინძლებს

**პირველი დივიზიონი**

**ბრედფორდი 2:1 კრ. პალასი**

0:1, ტატლი (56), 1:1 ვესტვუდი (75), 2:1 ბიგრი (87პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 28 | 17 | 9 | 2 | 59:19 | 60 |
| ბრედფორდი | 28 | 16 | 5 | 7 | 52:30 | 53 |
| ბოლტონი | 27 | 13 | 10 | 4 | 51:33 | 49 |
| ბირმინგემი | 28 | 14 | 7 | 7 | 43:26 | 49 |
| იფსვიჩი | 28 | 14 | 6 | 8 | 36:18 | 48 |
| გრიმსბი | 28 | 14 | 5 | 9 | 32:29 | 47 |
| უოტფორდი | 28 | 12 | 10 | 6 | 44:36 | 46 |
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 12 | 6 | 10 | 50:44 | 42 |
| ნორვიჩი | 27 | 11 | 9 | 7 | 43:37 | 42 |
| ჰადერსფილდი | 28 | 12 | 6 | 10 | 40:45 | 42 |
| ვულვზი | 28 | 11 | 8 | 9 | 37:28 | 41 |
| შეფილდ იუნ. | 28 | 10 | 8 | 10 | 42:46 | 38 |
| ბარნსლი | 28 | 9 | 10 | 9 | 37:35 | 37 |
| კრ. პალასი | 28 | 9 | 8 | 11 | 40:48 | 35 |
| სვინდონი | 28 | 9 | 7 | 12 | 39:45 | 34 |
| ტრანმერი | 28 | 6 | 13 | 9 | 34:40 | 31 |
| ქუინზ პარკი | 28 | 8 | 7 | 13 | 31:38 | 31 |
| სტოკპორტი | 28 | 6 | 12 | 10 | 33:37 | 30 |
| ბერი | 28 | 7 | 9 | 12 | 26:38 | 30 |
| პორტსმუთი | 28 | 7 | 8 | 13 | 35:44 | 29 |
| ბრისტოლი | 28 | 5 | 10 | 13 | 38:55 | 25 |
| ოქსფორდი | 28 | 6 | 7 | 15 | 29:51 | 25 |
| პორტ ვეილი | 28 | 7 | 4 | 17 | 29:52 | 25 |
| ქრიუ | 28 | 5 | 6 | 17 | 31:58 | 21 |

## იტალია

XV ტურის გადადებული მატჩი

**ვენეცია 3:2 ემპოლი**

0:1, 0:2 დი ნაპოლი (17პ, 37პ), 1:2 ვალტოლინა (53), 2:2, 3:2 მანიერო (76, 90)

ვენეცია: ტაიბი, პავანი (მარანგონი 34), ბილიკა, ლუპი, დალ კანტო, ვალტოლინა (აპინფული 72), მიკელი (ბრიოსკი 42), ვოლპი, პედონე, რეკობა, მანიერო

ემპოლი: სერენი, ფუსკო, ბალდინი, ბიანკონი, კრიბარი (ლუჩენტი 80), პანე, მორონე, ტონეტო, დი ნაპოლი, კარბარელი (კიაპარა 72), მარტუშელო (ბიზოლი 56)

გაფრთხილება: პავანი, ლუპი, ვალტოლინა, მიკელი, ვოლპი, პედონე, მანიერო, პანე, კიაპარა

გაძევება: ბილიკა (37)

მსაჯი: ტრეოსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიორენტინა | 17 | 11 | 2 | 4 | 31:18 | 35 |
| პარმა | 17 | 9 | 5 | 3 | 31:15 | 32 |
| ლაციო | 17 | 9 | 5 | 3 | 33:19 | 32 |
| მილანი | 17 | 8 | 6 | 3 | 25:19 | 30 |
| რომა | 17 | 7 | 6 | 4 | 36:24 | 27 |
| ინტერი | 17 | 8 | 3 | 6 | 32:25 | 27 |
| ბოლონია | 17 | 6 | 7 | 4 | 20:13 | 25 |
| ბარი | 17 | 5 | 10 | 2 | 22:18 | 25 |
| იუვენტუსი | 17 | 6 | 6 | 5 | 18:17 | 24 |
| უდინეზე | 17 | 6 | 5 | 6 | 21:26 | 23 |
| კალიარი | 17 | 6 | 2 | 9 | 28:28 | 20 |
| პერუჯა | 17 | 5 | 4 | 8 | 23:31 | 19 |
| პიაჩენცა | 17 | 4 | 6 | 7 | 24:27 | 18 |
| ვენეცია | 17 | 3 | 6 | 8 | 11:23 | 15 |
| ვიჩენცა | 17 | 3 | 6 | 8 | 10:22 | 15 |
| სამპდორია | 17 | 3 | 6 | 8 | 16:32 | 15 |
| ემპოლი | 17 | 3 | 7 | 7 | 15:24 | 14 |
| სალერნიტანა | 17 | 3 | 4 | 10 | 13:28 | 13 |

# მათ მთელი კამერუნი უყურებს

**ფიფამ** კამერუნი ორგანიზაციაში აღადგინა. იანვრის დასაწყისში კამერუნის ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში ქვეყნის სპორტის სამინისტროც ჩაერია. პრემიერ-მინისტრმა ფედერაციის მუშაობა შეაჩერა და მისი პრეზიდენტი ჯოზეფ აივონა გადააყენა. ერთი სიტყვით, მის საქმიანობაში უხეშად ჩაერია, რასაც ფიფა სასტიკად კრძალავს. ფიფამ კამერუნის სპორტის სამინისტრო ჯერ გააფრთხილა, მაგრამ, ვინაიდან ამან შედეგი არ გამოიღო, ქვეყანა გარიცხა.

კამერუნელთა ახალმა მწვრთნელმა პიერ დე შანტრიმ, წინმორბედის, ასევე ფრანგის კლოდ დე რუას მეგობარმა, ერითრიასთან ამხანაგური მატჩისთვის მოსამზადებლად 19 მოთამაშეს უხმო. კამერუნის ფეხბურთის ფედერაციის თქმით, ყველა მათგანი პროფესიონალია.

— თქვენ მთელი კამერუნი გიყურებთ. მთელი ერი თქვენთანაა — კამერუნის ფეხბურთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა ია მოჰამედმა ფეხბურთელებს ბრძოლისკენ მოუწოდა.



## EURO 2000
## ჩვენი ჯგუფი

საქართველოს ნაკრების მეტოქემ, ნორვეგიამ ისრაელში მიმდინარე სამთა ტურნირზე მასპინძლებს ფოტზე აღბეჭდილი სკამელსრუდის პენალტით სძლია. შემდეგი მატჩი ნორვეგიელებს ესტონეთთან აქვთ.

**სამთა ტურნირი**

**ისრაელი 0:1 ნორვეგია**

0:1 სკამელსრუდი (11პ)

ისრაელი: დავიდოვიჩი, ა. ხარაზი, ბენ შიმონი, გრაიევი, ბენადო, ბადირი, შელახი (მიზრახი 46), ტიკვა (სივილია 46), ტალი, ნიმნი, რ. ხარაზი

ნორვეგია: ბაარდსენი (ოლსენი 46), ბასმა, ბრაგსტადი (ლუნდეკვამი 46), ჰოფტუნი, ბრეგდლომო, ოსტენსტადი (ბაკე 80), სტრანდი (ჰესტადი 23), სკამელსრუდი, ლარსენი, სტრანდლი (ი. ფლო 90), კარეუ

მსაჯი: კოლინა (იტალია)

# მაიმუნის გლანდებიდან მოყოლებული

*თუ ვინმეს ჰგონია, რომ დოპინგი ფეხბურთში ახალი ხილია, კარგად უნდა დაფიქრდეს. იქნებ ბოლო დროს დანერგილმა ტესტებმა გამოამზეურა ის, რაც ადრეც იყო ფესვებგადგმული? მოდით, 1920-იან წლებში დავბრუნდეთ და გავიხსენოთ პირველი გახმაურებული შემთხვევა, რომელიც ჯანზე მომყვან ნივთიერებასთან იყო დაკავშირებული.*

გადავშალოთ ლესლი ნიფტონის ავტობიოგრაფიული წიგნი, სადაც ავტორი იგონებს „არსენალის“ მწვრთნელობის დროს როგორ მივიდა მასთან ვილაც გულშემატკივარი, პროფესიით ექიმი, და შესთავაზა მოთამაშეებისთვის რაღაც აბების მიცემა. ფეხბურთელებმა შეთავაზებული აბები სათასო მატჩის წინ დალიეს, მაგრამ მიზეზთა გამო ის შეხვედრა გადაიდო. შემდეგ, ხსენებული თამაშის ხელახალი თარიღი დაინიშნა და ნიფტონმა ისევ სთხოვა ბიჭებს აბების დალევა, მაგრამ მათ უარი თქვეს, თურმე პირველი დალევის შემდეგ აბებს უცნაური კანკალი გამოუწვევია.

საქმე კი ის გახლდათ, რომ აბებმა ფეხბურთელებს დამატებითი ენერგია შთაბერა თამაშის გადადებამ კი მისი დახარჯვის სარბიელი მოსპო.

1933 წელს „ვულვერჰემპტონ უონდერერზთან“ დაკავშირებული „მაიმუნის გლანდების“ საქმე გახმაურდა. ლეგენდარული მწვრთნელი, მაიორი ფრენკ ბაკლი ცუდს ვერაფერს ხედავდა იმ აბებში, რომელთაც თავის ახალგაზრდა ფეხბურთელებს ასმევდა. არც საფეხბურთო ლიგასა და ფეხბურთის ასოციაციას ჰქონდა რაიმე საწინააღმდეგო. „ვულვერჰემპტონი“ იმ წელიწადს ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო თასზე ფინალამდე მიაღწია. მოგვიანებით გუნდის კაპიტანი სტენ კალისი წერდა, რომ „მაიმუნის გლანდების აბები“ სხვა არა იყო, გარდა სიცივის საწინააღმდეგო საშუალებისა. „არა მგონია, რომ ეს წამალი უკეთ თამაშში მეხმარებოდა“.

კონტროლის შემოღებამდე დოპინგის სმის გამომჟღავნება მხოლოდ ფეხბურთელების აღიარებებით იყო შესაძლებელი.

1954 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გფრ-ს ნაკრებმა უნგრეთს მოუგო. თამაშის მერე ფერენც პუშკაში ამტკიცებდა, რომ გერმანელებმა დოპინგით მოზღვავებული ენერგიის წყალობით იძალეს. პუშკაშის სიტყვებს თავიდან არავინ უგდებდა ყურს, მაგრამ როდესაც შემდგომი სამი შეხვედრა ბელგიასთან, საფრანგეთთან და ინგლისთან მსოფლიოს ჩემპიონებმა წააგეს, ეჭვი სხვებსაც გაუჩნდათ. „უემბლიზე“ ინგლისელებთან სათამაშოდ გერმანელებმა მსოფლიოს პირველობის მონაწილე მხოლოდ სამი ფეხბურთელი გაიყვანეს, დანარჩენები, ჰეპატიტით (ბოტკინით) არიანო ავად. ზოგიერთი მიმომხილველის აზრით ჰეპატიტი დოპინგში შერეულმა რომელიღაც ნივთიერებამ გამოიწვია.

1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ორ გერმანელ მოთამაშეს ისეთი რამ შეემთხვა, რამაც მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ჩელსის კოლეჯის ლაბორატორიაში დიდი ინტერესი გამოიწვია: მათ ორგანიზმში ეფედრინი აღმოუჩინეს — ნივთიერება, რომლის გამოც 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დიეგო მარადონა დაისაჯა — თურმე გერმანიის ნაკრების ექიმები გრიპის საწინააღმდეგოდ იყენებდნენ ამ პრეპარატს.

როდესაც „რეინჯერსი“ ჩემპიონთა თასზე „მილანს“ ხვდებოდა, ხუან სკიაფინო და გასტონ ბეანი „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობასთან მივიდნენ. „რეინჯერსის“ მწვრთნელი სკოტ საიმონი მოგვიანებით ყვებოდა: „სკიაფინო ინგლისურად ვერ ლაპარაკობდა, თუმცა ბეანი ახერხებდა ცოტას. მისგან გავიგეთ, რომ სკიაფინოს ანემია სჭირდა და მუდამ თან ატარებდა წამალს, რომელსაც კვირაში ორჯერ ნემსით იღებდა. რამდენადაც ვიცი ეს წამალი არაფრით იყო განსაკუთრებული“.

ეს სწორედ ის წამალი იყო, რომელსაც ჩვენ კრეატინის სახელით ვიცნობთ.


ზიკო

1960-იან წლებში ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი ჯონი ბერნი არ მალავდა, რომ მნიშვნელოვანი შეხვედრების წინ დასაწყნარებლად ბენზედრინსა და ფენკამფამინს სვამდა, იგი ამბობდა, რომ ნაკრების მოთამაშეთა 50 პროცენტი სტიმულატორებს მიმართავდა.

1977 წელს ფრანც ბეკენბაუერმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: „ბუნდესლიგაში ზოგი მედიკამენტის მიღება ნებადართულია. ისინი ფეხბურთელებს მაქსიმალურად მოძრაობაში უწყობენ ხელს. არსებობს აბებიც და ნემსებიც“.

კაიზერის ეს ფრაზა გაშალა გერმანიის ეროვნული გუნდის მეკარემ ტონი შუმახერმა, რომელმაც თავის ავტობიოგრაფიაში, სათაურით „სასტარტო სასტვენი“, დაწერა: „დოპინგი ბუნდესლიგაში ერთობ მიღებული რამ გახლავთ“.

შუმახერი იგონებს, რომ ერთხელ კაპტაგონი მიიღო, ხოლო ფეხბურთელთა უმეტესობა ეფედრინით იძლიერებდა ფიზიკურ მდგომარეობას.

„ისინი მთელს მოედანზე ურჩხულებივით დარბოდნენ და რა თქმა უნდა შეხვედრები ჩვენი გამარჯვებით მთავრდებოდა“.

შუმახერი იმასაც იგონებს, რომ როდესაც ახალგაზრა იყო, ხედავდა, როგორც ეტანებოდა ბევრი აღიარებული ვარსკვლავი უცნობ აბებს და ნემსებს. ამ მედიკამენტებს ფეხბურთელებს „კიოლნის“ ექიმი ურჩევდა.

1994 წელს ფრანგმა ჟოზე ტურემ აღიარა, რომ „ნანტის“ მოთამაშეებმა 1983 წელს, ჩემპიონთა თასის მეთექვსმეტედფინალში, ვენის „რაპიდთან“ შეხვედრის წინ ნემსები გაიკეთეს.

დოპინგთან დაკავშირებით ბევრი გამოძიება არ ჩატარებულა. იშვიათთაგანი გახლდათ „სანდი ტაიმსის“ ძიება და მტკიცება, რომ 1978 წელს არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრების ზოგიერთი ფეხბურთელი ამფიტამინს სვამდა. გაზეთი წერდა, რომ ტესტებს არაფერი დაუმტკიცებიათ, რადგან საანალიზოდ ფეხბურთელების კი არა, გუნდის ოფიციანტის შარდი მიჰქონდათ, ის კი ბუნებრივია არაფერს შეიცავდა.

რუბენ კიროგა, პერუელთა მეკარე, რომელმაც არგენტინის ნაკრებთან გადამწყვეტ შეხვედრაში ექვსი გოლი გაუშვა (არგენტინამ 6:0 მოიგო) იხსენებს:

„არგენტინელები გიჟებივით დარბოდნენ. ასეთი სიჩქარე და ენერგია სხვაგან არსად მინახავს. არ გამოვრიცხავ, რომ ისინი მაყურებელმა წააქეზა, თუმცა შეიძლება სულ სხვა რამ იყო მიზეზი“.

სამხრეთ ამერიკა და დოპინგი კი ძველისძველი ნაცნობები არიან. „ბოკა ხუნიორსმა“ 1977 და 1978 წლებში კოპა ლიბერტადორესი რომ მოიგო, ყველა ამბობდა დოპინგის როლი დიდი იყოო. სხვათა შორის ამ წარმატებებიდან ცოტა ხნის შემდეგ ბევრმა ფეხბურთელმა სერიოზული ტრავმების გამო თამაშს თავი დაანება.

ბრაზილიელი ვარსკვლავი ზიკო ჭაბუკობისას ერთობ კაფანდარა ყოფილა და როგორც ამბობენ „ფლამენგოს“ ექიმმა მისი სხეული ანაბოლური სტეროიდების რეგულარული გამოყენებით გახადა ათლეტური აღნაგობის.

ახლა კი დღევანდელობას გადავხედოთ. გასული წლის ნოემბერში ანუ ორი თვის წინ, უცნობი ნივთიერება „ბოხუმის“ მეკარეს, თომას ერნსტს აღმოუჩინეს. 1977 წელს, აფრიკის თასის გათამაშებიდან დაითხოვეს ორი კონგოელი მოთამაშე, ხოლო ზაგრების „კროაციას“ ორმა ფეხბურთელმა ხორვატიის ჩემპიონატის კალენდარული მატჩის შემდეგ ანალიზზე უარი თქვა...

**ბევინ ჰამილტონი,**
**„უორლდ სოკერი“**

# სიკვდილი ბელგიასა და ჰოლანდიაში

*1990-91 წლების სეზონის ბოლოს ბელგიის მეორე დივიზიონის გუნდი „ტურნუტი“ პირველში გადასასვლელად ემზადებოდა. გადამწყვეტ შეხვედრებში მთელი იმედი გუნდის 25 წლის თავდამსხმელზე, ლუკ დე რიიკზე იყო. თანაც, დე რიიკი მარტო ბომბარდირობისთვის და „ტურნუტის“ აღზევებისთვის როდი იბრძოდა, იგი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გუნდის, „ანტვერპენის“ ინტერესის საგანს წარმოადგენდა და იქ გადასვლის სურვილიც ამოძრავებდა. მოკლედ, დე რიიკი სეზონის ბრწყინვალე დაგვირგვინებისთვის ემზადებოდა.*

ევროპულ ქვეყნებში ქვედა ლიგები სუსტი გულის პატრონთათვის არაა მოგონილი. გამონაკლისი არც ბელგია გახლავთ. ის სეზონიც ხანგრძლივი და მძიმე გამოდგა. როდესაც დე რიიკმა შეატყო, რომ ჯანზე ველარ არის, თანაგუნდელ ფრანკ ბელმანსთან ერთად კლუბის ექიმს მიაკითხა.

ვიტამინებმა საქმეს რომ ვერ უშველა, ექიმმა მიშელ ვან დეუნმა, თავად 31 გუნდის ყოფილმა ფეხბურთელმა, ბიჭებს სისხლის დოპინგი ურჩია. დე რიიკმა და ბელმანსმა გადაწყვიტეს ეცადათ.

სისხლის დოპინგი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 1986 წელს აკრძალა. იყო ეჭვი, რომ დიდ დისტანციებზე მორბენალი მძლეოსნები მას 70-იანი წლების დასაწყისიდან მიმართავდნენ.

ადრე პროცედურა რვა კვირას ან სამ თვეს ითხოვდა, თუმცა 1990-იან წლებში ტექნოლოგიის განვითარებამ მისი ხანგრძლივობა შეამცირა და ერთი მარტივი ოპერაციით შემოფარგლა. ეს მარტივი ოპერაცია მაღალმთიან რაიონში სამკვირიანი ვარჯიშის ტოლფას ეფექტს იძლეოდა. ამ ხნის განმავლობაში ჟანგბადით მდიდარი ჰაერი სისხლში წითელი ბურთულაკების გამრავლებას იწვევს.

1991 წლის 7 აპრილს დე რიიკმა და ბელმანსმა საოპერაციოში შეაბიჯეს. ექიმ ვან დეუნს ახლებური მეთოდით ოპერირების გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ ინსტრუმენტებით მომმარაგებელი გერმანული ფირმის წარმომადგენლის ჰექტორ ჰერმანსის გვერდით ყოფნამ წააქეზა.

საოპერაციო მაგიდაზე პირველი დე რიიკი ავიდა. დაიწყო თუ არა პროცესი, ფეხბურთელს გულმა შეუტია და გარდაიცვალა. მოგვიანებით დადგინდა, რომ სიკვდილის მიზეზი გახლდათ ჰაერის ბუშტების მიერ გამოწვეული სისხლის კოლტი.


რენე ნოტენი


ეპი დროსტი

სასამართლო პროცესი სამი წლის შემდეგ ჩატარდა და ვან დეუნსა და ჰერმანსს ექვსთვიანი პატიმრობის გარდა 20 ათასი ბელგიური ფრანკის გადახდა მიუსაჯა.

ჰოლანდიური გუნდის, „ტვენტეს“ რამდენიმე ფეხბურთელი, როგორც ამბობენ, ამფეტამინის და ეფედრინის მიღების გამო გარდაიცვალა.

1970-იანი წლების დასაწყისში „ტვენტეს“ ექიმად დღეს 69 წლის დიკ ოსტოეკი მუშაობდა. ახლა უკვე ცნობილია, რომ იგი ფეხბურთელებს არალეგალურ წამლებს ასმევდა.

„არ მაინტერესებდა ის მედიკამენტები აკრძალული იყო თუ არა. ჩემი ერთადერთი მიზანი ფეხბურთელების მდგომარეობის გაუმჯობესება გახლადთ“ — ამბობს ოსტოეკი.

იგი არ მალავს, რომ იყენებდა ეფედრინს, ამფეტამინს და რამდენიმე სხვა მედიკამენტს.

„თუ გუნდი უეფას თასის შემდეგ ეტაპზე გავიდოდა, კლუბი და მოთამაშეები საგრძნობ შემოსავალს იღებდნენ. მაშ რად არ უნდა დავხმარებოდი?“

70-იანი წლები „ტვენტეს“ ოქროს ხანა გახლდათ. 1973 წელს გუნდი უეფას თასის ნახევარფინალში გავიდა, ორი წლის შემდეგ კი ფინალსაც მიაღწია, თუმცა იქ მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ 1:5 წააგო.

იმ თაობის ორი ფეხბურთელი, 49 წლის ეპი ტროსტი და 45 წლის რენე ნოტენი 1995 წელს გულის შეტევით გარდაიცვალნენ. ოსტოეკი, ცხადია, უარყოფს, რომ მათ სიკვდილს რაიმე კავშირი აქვს მის წამლებთან. 70-იანი წლების „ტვენტეს“ კიდევ ერთი მოთამაშე იან იეურინგი 1994 წელს ინფარქტს ვერ აცდა, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა.

„ტვენტეს“ შემდეგ ექიმი ოსტოეკი ჰოლანდიის ველოსიპედისტთა ფედერაციაში მუშაობდა და სპორტის ამ სახეობაშიც არ ერიდებოდა დოპინგის გამოყენებას.

„თუ ვინმეს უფრო სწრაფად რბოლა სურდა, შემეძლო დავხმარებოდი და ვეხმარებოდი კიდეც, რადგან სპორტსმენთა მედლებზე პასუხისმგებლობა მეკისრებოდა. ამისთვის კი დოპინგის შერქმევა სრული სისულელეა. ეს იყო ექიმისა და პაციენტის ჩვეულებრივი სამედიცინო ურთიერთობა. ცუდი არასდროს არაფერი გამიკეთებია“ — ამბობს ოსტოეკი.

ექიმის უპასუხისმგებლო განცხადებებმა „ტვენტეში“ ბუნებრივი აღშფოთება გამოიწვია. გასული წლის ოქტომბერში კლუბის დირექტორებმა საგანგებო თათბირიც მოიწვიეს.

„ამის შესახებ არაფერი ვიცოდით“ — განაცხადა პრეს ატაშემ ლოედ ტენ კატენმა — „დღევანდელი დირექტორატი სულ ოთხი წელიწადია რაც „ტვენტეს“ ხელმძღვანელობს“.

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის ექიმმა ფრისტ კესელმა დასძინა: „დაუჯერებელია, რომ სპორტული მედიცინის წარმომადგენელი ასეთ მედიკამენტებს იყენებდა“.

„ტვენტეს“ საბედნიეროდ ოსტოეკმა აღიარა: „კლუბში რომ შეეტყოთ ჩემი მეთოდების შესახებ, სამსახურიდან გამანთავისუფლებდნენ, მაგრამ მე მხოლოდ დახმარება მქონდა მიზნად, ვფიქრობდი, რომ ეს აუცილებელია“.

70-იანი წლების „ტვენტეს“ ჯანმრთელი წევრი კიკ ვან დერ ვალი კი ყველაფერს უარყოფს:

„ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ არავითარ დოპინგს არ გვასმევდნენ. ყოველ შემთხვევაში თამაშების წინ“.

**მაიქლ ბატჩერი,**
**უორლდ სოკერი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ინგლისის თასი. IV წრე**

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 იანვარი | | | |
| ასტონ ვილა — ფულემი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ბლექბერნი — სანდერლენდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ევერტონი — იფსვიჩი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ლესტერი — ქოვენთრი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ნიუკასლი — ბრედფორდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| პორტსმუთი — ლიდსი | 6,5 | 3,2 | 1,5 |
| შეფილდ უენსდეი — სტოკპორტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| სუონსი — დერბი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| ბარნსლი — ბორნმუთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| უიმბლდონი — ტოტენჰემი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| რექსჰემი — ჰადერსფილდი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 24 იანვარი | | | |
| მანჩესტერი — ლივერპული ($16^{00}$) | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ვულვერჰემპტონი — არსენალი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| 25 იანვარი | | | |
| ოქსფორდი — ჩელსი | 8,0 | 4,4 | 1,25 |

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 იანვარი | | | |
| უოტფორდი — ვესტ ბრომვიჩი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XVIII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 24 იანვარი | | | |
| ბოლონია — მილანი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ემპოლი — ფიორენტინა | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| ინტერი — კალიარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| იუვენტუსი — პერუჯა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ლაციო — პიაჩენცა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| სალერნიტანა — რომა | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| სამპდორია — უდინეზე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ვენეცია — ბარი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვიჩენცა — პარმა | 3,8 | 2,8 | 1,9 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XIX ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 იანვარი | | | |
| მონცა — ატალანტა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| 24 იანვარი | | | |
| ბრეშა — პესკარა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ჩეზენა — კოზენცა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| კრემონეზე — ნაპოლი | 5,0 | 2,9 | 1,7 |
| ფ. ანდრია — ტერნანა | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ლეჩე — კიევო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| ლუკეზე — რეჯანა | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| რეჯინა — ტორინო | 3,3 | 2,6 | 2,2 |
| ტრევიზო — რავენა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ვერონა — ჯენოა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XIX ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — სარაგოსა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ბილბაო — ბეტისი | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| ვალიადოლიდი — რასინგი | 2,8 | 2,8 | 3,5 |
| ვილიარეალი — ესტრემადურა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| დეპორტივო — რეალი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| ატლეტიკო — სელტა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მალიორკა — ვალენსია | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ტენერიფე — სალამანკა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ოვიედო — ესპანიოლი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სოსიედადი — ალავესი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXI ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 23-24 იანვარი | | | |
| ტოლედო — ეიბარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| ალბასეტე — სპორტინგი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბარსელონა B — ლას პალმასი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| ერკულესი — მალიორკა B | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ოსასუნა — ატლეტიკო B | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბადახოსი — რაიო ვალეკანო | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| ლეგანესი — ლოგრონიესი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| მერიდა — ლეიდა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| რეკრეატივო — ნუმანსია | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ორენსე — კომპოსტელა | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| სევილია — მალაგა | 2,2 | 2,8 | 3,1 |

**საფრანგეთის თასი. III წრე.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 იანვარი | | | |
| ნიორი (II) — სტრასბური | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ტუარი (III) — პსჟ | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| ფკ პარიზი (III) — ლორიანი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| ტრუა (II) — მონპელიე | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| რენი — კულენი (V) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| ლიონი (IV) — ბასტია | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| მეცი — ბორდო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| არმენტიერი (IV) — ლანსი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| ჟურასუდფუტი (V) — ტულუზი | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| ბლანიაკი (V) — ლე ავრი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| ამიენსი (II) — მონაკო | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| შატორუ (II) — ლიონი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| ლაროში (IV) — ნანტი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| ლავალი (II) — ნანსი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| მარსელი — ოსერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

**პორტუგალიის ჩემპიონატი. XIX ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 იანვარი | | | |
| ლეირია — გიმარაეში | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| 23 იანვარი | | | |
| შავეში — სპორტინგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ბენფიკა — რიუ ავე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ბოავიშტა — ალვერკა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 24 იანვარი | | | |
| სეტუბალი — ამადორა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| პორტუ — ბეირა მარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| სალგეირუში — მარიტიმუ | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| კამპომაიორენსე — აკადემიკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 25 იანვარი | | | |
| ბრაგა — ფარენსე | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**ბელგიის ჩემპიონატი. XXI ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 იანვარი | | | |
| ლომელი — ბრიუგე | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| სენტ ტრიუდენი — ეკერენი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| სტანდარდი — გენკი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ოსტენდე — კორტრაიკი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლიერსი — შარლერუა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ლოკერენი — ბევერენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ანდერლეხტი — ვესტერლო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 24 იანვარი | | | |
| აალსტი — გენტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ჰარელბეკი — მუსკრონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**შოტლანდიის თასი. III წრე**

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 იანვარი | | | |
| მორტონი (I) — დანდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| აირი (I) — კილმარნოკი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| პარტიკ თისლი (II) — დანფერმლაინი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| სენტ ჯონსტონი — ფორფარი (II) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| სელტიკი — ეირდრენიანსი (I) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| რეინჯერსი — სტენჰაუსმური (III) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| აბერდინი — ლივინგსტონი (II) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 24 იანვარი | | | |
| მოზერველი — ჰართსი | 2,1 | 2,8 | 3,3 |

**აფრიკის თასი. II ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 იანვარი | | | |
| ალჟირი — ტუნისი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 23 იანვარი | | | |
| განა — მოზამბიკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ერითრეა — კამერუნი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| სიერა ლეონე — ტოგო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| სენეგალი — ბურკინა ფასო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ნიგერია — ბურუნდი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ლიბერია — უგანდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 24 იანვარი | | | |
| გვინეა — მაროკო | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| კონგო — მალი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| კოტ დივუარი — ნამიბია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ანგოლა — გაბონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მავრიკი — სამხრეთ აფრიკა | 5,3 | 3,5 | 1,5 |
| მადაგასკარი — ზამბია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| კონგო — კენია | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**ჰოკეი. NHL**

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 იანვარი | | | |
| ბოსტონი — ოტავა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| რეინჯერსი — ფლორიდა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფილადელფია — ვაშინგტონი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| პიტსბურგი — აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| დეტროიტი — კაროლინა | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ჩიკაგო — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| სენტ ლუისი — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნეშვილი — ტამპა ბეი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| კოლორადო — კარლაგრი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ფინიქსი — ანაჰაიმი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ლოს ანჯელესი — ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| სან ხოსე — ედმონტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## სპორტული ლატარია "CROCO"

## გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების სიის მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1 000-ს. თუ ნამრავლი 1 000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1 000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი კალიარი 3:0 და ინტერი კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან [illegible]ტარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ.

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი I სავაჭრო ცენტრი.
**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „რიონის" შენობაში;
**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;
**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი", XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში



# კახი ასათიანი

19

# მოედანზე იყო თავადი...

**სამოციან** წლებში უმაღლესი კლასის თავდამსხმელებით განებივრებულ თბილისის „დინამოს" გულშემატკივრებში მაინც არსებობდა სურვილი, თავიანთ საყვარელ გუნდში ეხილათ მაღალი, ძლიერი, ეგრეთ წოდებული ტარანული ტიპის ცენტრფორვარდი, რომელსაც შესანიშნავად შეეძლებოდა როგორც ორივე ფეხით, ისე თავით თამაში. ეს ან ინგლისური ფეხბურთის გაცნობის გამოძახილი იყო (1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ხომ პირველი იყო, რომელიც ქართველმა ტელემაყურებელმა ნახა), ან სახელგანთქმული მოსკოვის ტორპედოელი ედუარდ სტრელცოვისნაირი ფორვარდის ხილვისა. ამიტომ, როდესაც 1966 წლის სეზონის შუაში გულშემატკივარი აღფრთოვანებით შეხვდა გუნდში ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელის კახი ასათიანის გამოჩენას. თითქოს ყველაფრით გამორჩეულ „დინამოს" თავდასხმას მხოლოდ ასეთი ფორვარდილა აკლდა.

კახი ასათიანს ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე ურიგოდ არ უთამაშია, გოლებიც გაიტანა თავის სადებიუტო სეზონში, მაგრამ თანდათან ცხადი გახდა, რომ გულშემატკივრების იმედს „ტარანულ ცენტრფორვარდზე" ასრულება არ ეწერა. სამაგიეროდ, „დინამომ" შეიძინა შესანიშნავი ნახევარმცველი, რომლის სათამაშო აზროვნება და მოქმედების დიაპაზონი იმთავითვე გუნდის ლიდერის როლზე ამკვიდრებდა ახალგაზრდა ფეხბურთელს. 1967 წელს, როდესაც თავის უკანასკნელ სეზონს ატარებდა „დინამოში" მისი მრავალი წლის კაპიტანი შოთა იამანიძე, კახი ასათიანი თბილისის „დინამოს" შუახაზის ცენტრალურ ფიგურად იქცა და მოედნის შუაგულში მისმა უნარიანმა თამაშმაც განაპირობა „დინამოს" ნახევარდაცვის სიძლიერე (იმ სეზონში ამ ხაზში ასათიანისა და იამანიძის გარდა თამაშობდნენ — სერგო კუტივაძე, გიორგი სიჭინავა, ალექსანდრე ილიადი, გურამ პეტრიაშვილი) და „დინამომ" ჩემპიონობის შემდეგ კვლავ შეძლო უძლიერეს სამეულში მოხვედრა — ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

კახი ასათიანის თამაშმა მაშინვე მიიქცია საბჭოთა ნაკრების მესვეურთა ყურადღება და უკვე 1968 წელს 21 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს. ნაკრები მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადებოდა. ეს კიევის „დინამოს" ტრიუმფალური გამარჯვების წელი გახლდათ საკავშირო ასპარეზზე. კიეველების სამწლიანი ბატონობის განმსაზღვრელი მათი შესანიშნავი ნახევარდაცვის ხაზი იყო და, მიუხედავად ამისა, კახიმ საკმაოდ ადვილად დაიმკვიდრა ნაკრებში ადგილი. ხოლო 1969 წელს ნაკრების შუახაზი კიეველების — ვიქტორ სერებრიაკოვის და ვლადიმერ მუნტიანის და თბილისელი კახი ასათიანის შემადგენლობით საუკეთესო რგოლი იყო საბჭოეთის პირველ გუნდში. გუნდი შესარჩევ ტურნირში ძალიან ადვილ ჯგუფში მოხვდა თურქეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან ერთად და მათთან გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა ნახევარდაცვის და მათ შორის კახი ასათიანის ბრწყინვალე თამაშმა. ასე რომ, 1970 წელს, როდესაც საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა გამოცხადდა მექსიკაში წასასვლელად, კახი ასათიანი უპირობოდ ითვლებოდა მის პირველ ნომრად.

1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბევრი დაწერილა. მათ შორის ჩვენც გვითქვამს, რომ მსოფლიოს ამ პირველობაზე ქართველი ფეხბურთელების მიმართ კეთილად განწყობილმა, 1964 წლის თბილისის „დინამოს" ოქროს სეზონის" შემქმნელმა გავრილ კაჩალინმა მექსიკაში ექვსი ჩვენებური ფეხბურთელი წაიყვანა: ანზორ კავაზაშვილი, რეზო ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, კახი ასათიანი, გივი ნოდია და სლავა მეტრეველი. სწორედ ამიტომაც მის საქმეში ზომაზე მეტად ჩაერივნენ საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები, რომელთაც არაფრად ეპიტნავათ ასეთი ეროვნული თანაფარდობა ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში.

საბჭოთა ნაკრები ჯგუფში მასპინძლებთან, ბელგიელებთან და სალვადორის ნაკრებთან ერთად მოხვდა და მაღალ დონეზე მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა ბელგიის ნაკრებთან. სწორედ აქ გაიბრწყინა კახი ასათიანმა, რომელიც მუნტიანთან ერთად მოედნის შუაგულის სრული ბატონ-პატრონი იყო და შესანიშნავი გოლიც გაიტანა ბელგიელთა კარში. იგი ცრუ მოძრაობით გასცდა ბელგიელ მცველს და ზუსტად მოათავსა ბურთი მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში, ჩემპიონატის საუკეთესო გოლებშიც შევიდა. კახი ასათიანის თამაშმა უმალ მიიპყრო მსოფლიოს ფეხბურთის სპეციალისტთა ყურადღება და ეს მით უფრო სასიხარულო იყო, რომ ბრაზილიის ბრწყინვალე გუნდს, გერმანელთა ვარსკვლავებით სავსე შესანიშნავი ნაკრებისა და მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისელთა ფონზე ჩვენი ახალგაზრდა ნახევარმცველიც არ დარჩენილა ყურადღების გარეშე.

მიუხედავად ამისა, კახი ასათიანი ბელგიელებთან შესანიშნავად ჩატარებული მატჩის შემდეგ სალვადორთან არ გამოიყვანეს, ვითომ დასვენების მიზნით. ამან იგი ჩვეული რიტმიდან ამოაგდო. მეოთხედფინალში კი კახი რუსთა კერპ ნიკოლაი კისელიოვით შეცვალეს, რამაც საბოლოოდ დაშალა ნახევარდაცვის შეთამაშებული ხაზის (სერებრიანიკოვი-ასათიანი-მუნტიანის) თარეში და შედეგად ნაკრები ურუგვაელებთან დამარცხდა.

რით ხიბლავდა გულშემატკივარს კახი ასათიანის თამაში? ეს იყო ელეგანტურობის განსახიერება. უზადო ტექნიკა, ბურთის ფლობის ძალდაუტანებელი მანერა და შესანიშნავი უზუსტესი გადაცემები შორეულ მანძილზე (ახალი თაობის გულშემატკივრებს, ალბათ, დავით ყიფიანის პასები უნდა გავახსენოთ) — პასი ასათიანისთვის მარტო პარტნიორის მისამართით გაგზავნილი ბურთი არ იყო, არამედ ისეთი გადაცემა, რომელსაც თანაგუნდელი ყველაზე სასურველ წერტილში იღებს და ყველაზე მოსახერხებელ მომენტში. გარდა ამისა, ერთ რამედ ღირდა კახის დრიბლინგი. განსაკუთრებით, როდესაც იგი ფეხებშუა უძვრენდა ბურთს მეტოქეს. ვისაც ფეხბურთი უთამაშია, იცის, რომ ბურთის ფეხებშუა გაძვრენას წინ მოსამზადებელი მოძრაობა უძევს საფუძვლად, რის გამოც მოწინააღმდეგე ფეხებს ერთმანეთს აშორებს. აი, ამ ილეთს კახი თვალშეუვლები სისწრაფით ან წამიერი პაუზით ახორციელებდა, რის გამოც მეტოქე მუდამ სასაცილო მდგომარეობაში რჩებოდა, ბურთი კი მის ფეხებშუა ნელა მიგორავდა. სხვათა შორის, მისი თამაშის სწორედ ეს გამორჩეული თვისება — ელეგანტურობა იყო საერთაშორისო აღიარების საფუძველიც. 1970 წელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ „ასოშიეიტედ პრესის" კორესპონდენტმა მერი-ქრისტინა ანჟელომ მსოფლიოს ნაკრები შეადგინა ელეგანტურად მოთამაშე, სანდომიანი ფეხბურთელებისგან. თავად განსაჯეთ, რა კომპანიაში მოხვდა კახი ასათიანი: კალდერონი (მექსიკა), დობიაში (ჩეხოსლოვაკია), ბეკენბაუერი (გერმანია), მური (ინგლისი), რივერა (იტალია), ასათიანი (საბჭოთა კავშირი), ბოლი (ინგლისი), კუბილასი (პერუ), ლი (ინგლისი), ბიშოვეცი (საბჭოთა კავშირი), ჰერსტი (ინგლისი).

კახის მიერ შესანიშნავად ჩატარებული მატჩები ფეხბურთის ჭეშმარიტი ზეიმიც იყო და საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მისმა გამოსვლებმა, ვთქვათ, თურქეთის ან იუგოსლავიის ნაკრებთა წინააღმდეგ საერთაშორისო რეზონანსიც ჰპოვა.

კახი ასათიანი ერთ-ერთი უნიჭიერესი ფეხბურთელი იყო თბილისის „დინამოს" ისტორიაში, მაგრამ ამასთანავე ერთ-ერთი ყველაზე უიღბლოც. იგი გააწამა გაუთავებელმა ტრავმებმა, რის შედეგადაც თავის შესაძლებლობასთან შედარებით ძალიან მოკლე ხანს ითამაშა როგორც „დდინამოს", ისე ნაკრების შემადგენლობაში. თუმცა დაუვიწყარი კვალი დატოვა.

ალბათ, ყველა გულშემატკივარს ახსოვს მისი „დინამოში" ჩატარებული ბრწყინვალე მატჩები. თუნდაც ვოლოშილოვგრადის „ზარიასთან", სადაც იგი მარტო გაუმკლავდა იმ წელს მომავალი ჩემპიონის „ზარიას" ნახევარდაცვას კუქსოვის, კუზნეცოვისა და ვარენინის შემადგენლობით. კახის ბრწყინვალე თამაში მოსკოვის სპარტაკელებთან, სადაც მას პრინციპული დავა ჰქონდა კისელიოვ-პაპაევ-ბულგაკოვის ტრიოსთან. ამ ორთაბრძოლებზეც ღირს ყურადღების გამახვილება. „სპარტაკის" გულშემატკივრებისთვის ასათიანი ტიპური ქართველი იყო, ისეთი, როგორსაც ისინი ცხოვრებაში აღიქვამენ, ელეგანტური, მოხდენილი და... ქედმაღალი, რომელიც ოდნავ ზევიდან უყურებს მეტოქეებს. რასაკვირველია, ლაპარაკია მისი თამაშის მანერაზე. ამ ფონზე „სპარტაკის" „მუშა" ნახევარდაცვაც ტიპურ „რუსულად" აღიქმებოდა თავისი „კედლით" და მუდმივი მოძრაობით. ჰოდა, ასათიანი, რომელიც მისი მეტოქეების მეოთხედს არ მოძრაობდა მოედანზე, მაინც ჯობნიდა თავის სპარტაკელ ოპონენტებს. ეს კი სადღაც ქართული ცხოვრების წესის გამარჯვებად აღიქმებოდა. ასეთ საუბრებს არაერთხელ შევსწრებივარ „სპარტაკის" გულშემატკივართა შორის და ისინი ასეთ მნიშვნელობას რომ აძლევდნენ საფეხბურთო ორთაბრძოლებს, ეს, მართალი გითხრათ, ძალიან მამხიარულებდა.

კახი ასათიანი იყო თბილისის „დინამოს" იმ ფეხბურთელთა შორის, რომლებიც პირველად გავიდნენ ოფიციალურ ევროპულ საერთაშორისო ტურნირებზე და, მართალია, გამოუცდელობის გამო ვერ მიაღწიეს შესამჩნევ წარმატებას, რამდენიმე შთამბეჭდავი მატჩი მაინც ჩაატარეს. გულშემატკივარს კარგად ახსოვს შეხვედრა ინგლისის „ტოტენჰემ ჰოთსპურთან". ინგლისელებამდე დინამოელებმა ზაგრების „სლავია" და ბელგრადის ოფკ გამოთიშეს გათამაშებიდან. შესანიშნავად ჩატარებულმა მატჩებმა, განსაკუთრებით იუგოსლავიელებთან, რომელიც „დინამომ" პირწმინდად მოიგო (3:0 თბილისში და 5:1 ბელგრადში), შექმნა ილუზია, რომ თბილისის „დინამომ" ევროპის უძლიერეს საკლუბო გუნდებში დაიმკვიდრა ადგილი. თბილისში „ტოტენჰემის" განადგურებას ელოდნენ, მაგრამ ინგლისელებმა დაგვიმტკიცეს, რომ ევროპის საფეხბურთო ოლიმპამდე ჯერ კიდევ შორეული და ძნელი გზა იყო გასავლელი. „დინამომ" საკუთარ მოედანზე მხოლოდ ფრეს მიაღწია, ისიც კახის ჩინებული გოლის წყალობით, ლონდონში კი 1:5-ზე დამარცხდა და კარგა ხანს ჩამოსცილდა საერთაშორისო ასპარეზს. თუმცა სწორედ იმ შემადგენლობის ახალგაზრდა ფეხბურთელები — მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი გახდნენ იმ დიდი „დინამოს" დასაყრდენი, რომლებმაც შემდეგ ამდენი სამახსოვრო გამარჯვება მოიპოვა ევროპის საკლუბო ტურნირებში.

კახი ასათიანი ასაკით მათთან ერთად უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ახალკაცის დიდი გუნდის შექმნის პირველ წლებში მაინც, მაგრამ გაუთავებელმა ტრავმებმა მას ამის შესაძლებლობა არ მისცა. იგი მუხლის ტრავმების გამო მთელი ძალით ვერ ურტყამდა. ფეხები სრულ დატვირთვას ვერ უძლებდნენ და როცა „დინამო" კვლავ, 1976 წელს, გამოჩნდა ევროპულ ასპარეზზე, ასათიანი მის შემადგენლობაში უკვე აღარ იყო, როგორც ფეხბურთელი. კახიმ ადრე, 30 წლამდე, დაანება ფეხბურთს თავი.

რას იზამ, ცხოვრება ყოველთვის ისე ვერ ეწყობა, როგორც გვინდა და ჩვენც მოგვაკლდა სიამოვნება, კიდევ რამდენიმე წელს გვენახა კახის თამაში. თუმცა მისი მონაწილეობით ჩატარებული მატჩები ფეხბურთის გულშემატკივარს მუდამ ემახსოვრება, რადგან კახის მართლაც გამორჩეული თამაშის მანერა ჰქონდა და არ შეიძლება, იგი სხვაში აგერიოს.

ერთი სიტყვით, როგორი იყო კახი მოედანზე, შეგვიძლია ასე გამოვხატოთ, მოედანზე ვხედავდით თავადს. თავადურადვე დადიოდა თავის სამფლობელოში და თავისი მამულის — „მოედნის" მთელ მონაკვეთს აკონტროლებდა. თავადი, რომელსაც აქვს თავისი სიამაყე და ღირსების გრძნობა, რასაც აკეთებს, ლაზათიანად გამოსდის. ის შეხედულება რომ სუბიექტური არ გეგონოთ, შეგახსენებთ 1970 წელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულ წერილს, სადაც ჟურნალისტი დითირამბებს უძღვნიდა ახალდამთავრებულ მსოფლიოს პირველობას და მის ერთ-ერთ ღირსებად იმასაც მიიჩნევდა, რომ მსოფლიოს საფეხბურთო იერარქიაში დაუმკვიდრა ადგილი მოთამაშეებს: მეფე — პელეს, პრინც — რიველინოს, თავად — ასათიანს...

**ილია მხეიძე**



1973 წელი. ის ერთადერთი თბილისური გოლი „ტოტენჰემ ჰოთსპურს" სწორედ კახი ასათიანმა გაუტანა

რამაზ ცერცვაძის არქივიდან



1979 წელი. სათასო ფინალის პენალტების სერიამდე თბილისელთა ერთ-ერთი დამრიგებელი კახი ასათიანი ხუთეულს ასახელებს

რამაზ ცერცვაძის არქივიდან



ვახტანგ ნაცვლიშვილი



ნიკა ცქიტიშვილი

# კლუბები ფულს არ იხდიან — და ეს სულაც არ ანაღვლებთ

ამას წინათ გაუწყეთ, საკალათბურთო ჩემპიონატის მეორე წრე 20-ის ნაცვლად 25 იანვარს დაიწყებაო, თუმცა პირველობის განახლების თარიღმა შესაძლოა განუსაზღვრელი ვადით კიდევ გადაიწიოს. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა როლანდ ხომერიკმა ამის მიზეზად კვლავაც ჯიბეგაფხეკილი გუნდები დაასახელა, რომელთაც ჯერაც ვერ მოუხერხებიათ ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის გადახდა.

მისივე თქმით, ამჟამად ასეთი ხუთი კლუბია, რომელთაგანაც გათამაშების ლიდერს, რუსთავის „აზოტს", საერთოდ არ შემოუტანია ფული, ხოლო „ვითა"-ს, „დინამოს", „შევარდენს" და „კოლხას" მხოლოდ თანხის მეოთხედი, 500 ლარი გადაურიცხავთ ფედერაციის ანგარიშზე.

ფედერაციას მიუღია აგრეთვე წერილი, სადაც სოხუმის „კოლხას" აფხაზეთის სპორტკომიტეტი გარანტად უდგება და მთლიან თანხას 22 იანვრამდე ჩაგითვლითო, ჰპირდება.

„ყველაზე საწყენი ის არის, რომ კლუბებს ეს საერთოდ არ აღელვებთ. თითქოს აქეთაც გვადანაშაულებენ ჩემპიონატის შეფერხებაში" — ამბობს ხომერიკი და დასძენს, რომ იგი პირველობის განახლების კატეგორიული წინააღმდეგია და ამის თაობაზე ალმასკომის სხდომის მოწვევასაც აპირებს: „დღესვე შევეხმიანები პრეზიდენტ გოგი ქათამაძეს, მოვიწვევთ ალმასკომის წევრებს და გადავწყვეტთ, როგორ ვიმოქმედოთ."

რაც შეეხება ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზის გათბობის საკითხს, ამ მხრივ ფედერაციას სიტყვა შეუსრულებია და, ხომერიკის თქმით, უკვე საწვავიც მოუმარაგებიათ. ეგ არის, ახლა წყალთან დაკავშირებით შექმნიათ სირთულეები და დღე-დღეზე ამ პრობლემასაც გადაჭრიან.

**დიმიტრი ნიშნიანიძე**

**საპორტას თასი. მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები. 19 იანვარი**

***სონი (იტალია) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი)*** 75:72 (77:89)
სონი: ბალდი, ბუკერი (19), კაცანიგა, ჯონსონი (21), მიკელორი (9), მონტანარო (2), მონტი (6), მორდენტე (4), პორტალუპი (14)
სლოვაკოფარმა: კუზნეცოვი (7), ლუკიანეცი (14), მიჩუდა (7), რისტანოვიჩი (24), სირტაუტასი, საბო (12), ვეისი, ზადრავეცი (8)

***ტელეკომი (თურქეთი) — პოლზელა (სლოვენია)*** 77:53 (64:70)
ტელეკომი: ბენლი (3), ბერეჟნოი (8), ბიბო (7), კული (3), ქულაჩი (4), მაკკალოფი (12), მემისოღლუ (6), ონარი (9), ოზმენი (13), პეინი (12)

***უნიქსი (რუსეთი) — ვენტსპილსი (ლატვია)*** 74:79 (73:88)

***პივოვარნა (სლოვენია) — ცეპტერი (პოლონეთი)*** 71:68 (82:81)

***თოფაში (თურქეთი) — ტრირი (გერმანია)*** 80:70 (92:70)
თოფაში: ბაში (7), ერდოგანი (1), გრიფიტი (8), ქონუქი (12), ფარსი (9), რიმაცი (8), რივერსი (12), როჯერსი (17), ილმაზი (6)

***კალევი (ესტონეთი) — სპლიტი (ხორვატია)*** 62:69 (77:83)

***შოლე (საფრანგეთი) — ესტრელა (პორტუგალია)*** 84:55 (75:59)

***არისი (საბერძნეთი) — სტატიბა (ლიტვა)*** 85:72 (76:77)
არისი: ანგელიდისი (7), ქრიზანტოპულოსი (18), გალაკტეროსი (7), გრანტი (22), კიული, ლიადელისი (10), მიხაილოვი (11), სიგალასი (8), სიუტისი (2)

***ლიმოჟი (საფრანგეთი) — შარლერუა (ბელგია)*** 69:76 (61:60)

***პამესა (ესპანეთი) — ატომერომუ (უნგრეთი)*** 82:63 (71:70)
პამესა: გარსია (7), გრასია (3), ბერნარდო (12), ბურგოსი, ჰოპკინსი (10), ლუენგო (13), მალუენდა (25), როდილია (4), სელერსი (8)

***ულმი (გერმანია) — ოვარენსე (პორტუგალია)*** 79:63 (62:66)

***ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — აეკ (საბერძნეთი)*** 74:63 (61:66)
ბუდუჩნოსტი: ბოშკოვიჩი, ბულატოვიჩი (11), ჩერანიჩი (4), პაიოვიჩი (11), რადონიჩი (17), რადუნოვიჩი, შჩეპანოვიჩი (6), ტოპალოვიჩი (11), ვუკჩევიჩი (14)
აეკ: ანდერსენი (15), არლაუსკასი (10), ხაცისი (9), კაკიუზისი (2), კორონიოსი (12), ნიკოლაიდისი, პაპადოპულოსი (1), პაპანიკოლოპულოსი, პრელევიცი (12), ცაკალიდისი (2)

***ბენეტონი (იტალია) — მაზოვშანკა (პოლონეთი)*** 83:60 (62:70)
ბენეტონი: ბონორა (3), დი სპალატრო (7), ხოფრესა, მარკონატო (7), ნარი (3), პიტისი (3), რებრაჩა (16), შმიდტი (12), სეკუნდა (3), ვილიამსი (22)

***პარტიზანი (იუგოსლავია)*** — ბროცენი (ლატვია) *გუშინ გაიმართა*

ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — ანტვერპენი (ბელგია)
*გუშინ გაიმართა*

ხუვენტუდი (ესპანეთი) — შტალგაუ (ავსტრია) *გუშინ გაიმართა*

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მერვედფინალში*

# ცქიტიშვილი სიდუხჭირეს თსუ-დან სტუ-ში გაექცა

ეროვნულ საკალათბურთო ჩემპიონატში გამოცხადებული შესვენება, მოგეხსენებათ, ამა თუ იმ კლუბს ტრანსფერის განხორციელების საშუალებასაც აძლევდა. „ქართული სატრანსფერო ბაზარი" დღეს, 20 იანვარს იხურება, თუმცა ფედერაციის მოხელენი ამ მხრივ ჯერაც არავის შეუწუხებია.

მიუხედავად ამისა, „სარბიელმა" ერთი „გასაიდუმლოებული" ტრანსფერის შესახებ შეიტყო, რომელიც ჩვენს კალათბურთში განვითარებულ მოვლენათაგან უდავოდ უმნიშვნელოვანესია. საუბარია პერსპექტიულ თსუ-ელ თავდამსხმელ-ცენტრ ნიკა ცქიტიშვილზე, რომელიც მეორე სტუდენტურ გუნდში სტუ-ში გადაბარგდა და ამიერიდან თამაზ ოქრუაშვილის მეთვალყურეობით გაიწვრთნება.

ეს თავად ნიკამაც დაგვიდასტურა და უნივერსიტეტელებთან განშორება გუნდში, არსებული ფინანსური სიდუხჭირით ახსნა: „თსუ-მ სათანადო პირობები ვერ შემიქმნა, რის გამოც დავტოვე გუნდი" — გვითხრა ცქიტიშვილმა და დაამატა, სტუ-სთან უკვე კონტრაქტიც გავაფორმე, ოღონდ იმ პირობით, რომ თუ რომელიმე უცხოური კლუბი მიმიწვევს, დაუყოვნებლივ გამიშვებენო.

თუ ცქიტიშვილის ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილია, ამას ვერ ვიტყვით ეროვნული ნაკრების კაპიტან ვატო ნაცვლიშვილზე, რომელიც აგერ უკვე რახანია, ფეხის ტკივილმა გააწამა და მას შემდეგ, რაც ტრავმა მოიშუშა, სტუ-ში შეუდგა სარეაბილიტაციო წვრთნას.

გავრცელებული ხმები, თითქოს ნაცვლიშვილიც სტუდენტურ გუნდში გააგრძელებს კარიერას, თავად კაპიტანმა უარყო, თუმცა არც საბოლოოდ გამორიცხა და გაგვანდო, რომ გული უფრო უცხოური კლუბებისკენ მიუწევს და მისი საქართველოში დარჩენის შანსი ძალიან მცირეა.

ორივე კალათბურთელის სტუ-სთან „დაახლოებაზე" თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ ამ გუნდის მთავარ მწვრთნელს თამაზ ოქრუაშვილს:

— ერთ-ერთ ვარჯიშზე ჩვენთან ნიკა ცქიტიშვილი მოვიდა და სტუ-ში თამაშის სურვილი გამოთქვა. ვერ გეტყვით, რამდენად ვერ შეუსრულა მას თსუ-მ პირობები, მაგრამ ის, რომ მეორე წრიდან ნიკა ჩვენთან იქნება, ამას მეც ვადასტურებ.

რაც შეეხება ვატო ნაცვლიშვილს, მისი ჩვენთან გადმოსვლის საქმე ჯერაც გაურკვეველია. ყველაფერი მთლიანად მასზეა დამოკიდებული. ვატო ეკვე ინტენსიურად ვარჯიშობს და როგორც თავად ამბობს, ნაკრების თამაშებისთვის და უცხოეთში წასასვლელად ემზადება.

**გიორგი გიქაშვილი**

# ჩიკაგოს და კალათბურთის დენის როდმანმაც უგანა

ბოლო დღეებში ჩემპიონ „ჩიკაგოს" თავზე ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ სხვა ყველა უბედურება ერთად დაატყდა თავს. ჯერ იყო და მთავარმა მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა უგანა გუნდს, შემდეგ ჯორდანი წავიდა კალათბურთიდან, ჯორდანის წასვლას სკოტი პიპენის „ჰიუსტონში" გადაბარგება მოჰყვა. თითქოს ამდენი არ კმაროდა და ახლა „ჩიკაგო ბულზმა" კიდევ ერთი დარტყმა მიიღო. ჩემპიონ გუნდს ეს-ესაა ხელიდან გამოეცალა კიდევ ერთი ლიდერი, შერეკილი დენის როდმანი.

მოხსენების დიდოსტატმა, როდმანმა 19 იანვარს განუცხადა გაზეთ FOX SPORTS NEWS-ს კალათბურთიდან წასვლის შესახებ: „ამ წელს მე არ ვაპირებ თამაშს, მაგრამ არ ვამბობ, რომ საერთოდ არ ვითამაშებ". ასეთი განცხადება გააკეთა მან.

თავდაპირველად, როდესაც 37 წლის როდმანმა თავისი წასვლის შესახებ მედიას აცნობა, ბევრმა მისი განცხადება მორიგ ხუმტურად ჩათვალა. იგი ხომ კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ყველაზე არაორდინალურ მოთამაშედ ითვლება და მის გამოხტომებს თვლა არა აქვს. როდმანისათვის ჩვეულებრივი ამბავია მსაჯის თუ ფოტორეპორტიორების ცემა, მის მრავალფეროვან ვარცხნილობებზე და ერთიანად სვირინგებით მოხატულ ტანზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. მაგრამ შემდგომში გაირკვა, რომ ამ მობერებულ შეშლილ კაცს მართლა გადაუწყვეტია დასვენება.

დენის როდმანი არა მარტო თავისი სიგიჟით და ჭკუამხიარულობითაა ცნობილი. იგი ბოლო შვიდი წელია ერთპიროვნულად ლიდერობს ლიგის მომხსნელთა სიას და ამასთან ერთად ფლობს ნბა-ს ჩემპიონის ხუთ ტიტულს, რომელთაგან სამი „ჩიკაგოში" მოიპოვა 1996-98 წლებში, ორი კი „დეტროიტის" შემადგენლობაში 1989 და 1990 წლებში. მოედანზე მისი უმთავრესი საფიქრალი რაც შეიძლება მეტი მოხსნის გაკეთება იყო. და... რაც შეიძლება მეტი მეტოქის პროვოკაციაზე წამოგება.

როდმანი კი დაისვენებს, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა მოუვა „ჩიკაგო ბულზს". უძლეველი ჩემპიონი თვალსა და ხელს შუა დადნა და ახალბედა მწვრთნელს ტიმ ფლოიდს ერთი მუჭა მოთამაშეებისა და ბუნდოვანი მომავლის იმედიღა შემორჩა. ააშენებს ფლოიდი ახალ საპლეიოფო გუნდს? ბოლო მოვლენების შემხედვარე, ვეჭვობთ, „ჩიკაგომ" 52 თამაშიანი სეზონიდან 20-დე თამაშის მოგება მოახერხოს.

**ირაკლი ფირაშვილი**




ჩიკაგოს დიდი სამეული: ჯორდანი - როდმანი - პიპენი აღარასოდეს განმეორდება

# ბორშჩი, პელმენი, არაყი...

**საბჭოთა კალათბურთის 70-80-იანი წლების ეპოქაში ჯერ კიევის „სტროიტელის", ხოლო შემდეგ მოსკოვის ცსკა-ს და საბჭოთა კავშირის ნაკრების ცენტრი ვლადიმერ ბელოსტენნი ყოველთვის მეორე ცენტრად ითვლებოდა. 214-სანტიმეტრიანი გიგანტი ჯერ ვლადიმერ ტკაჩენკოს ჩრდილში იდგა, ხოლო მოგვიანებით, არვიდას საბონისის გამოჩენის შემდეგ, ბუნებრივია, კიდევ უფრო მტკიცედ მოიხვეჭა ეგრეთ წოდებული „დამხმარე ცენტრის" სახელი. თუმცა არც ისე იყო საქმე, რომ ბელოსტენნი ერთთავად სათადარიგოთა სკამზე მჯდარიყო თანაგუნდელთა ტრავმის მოლოდინში**



ვლადიმერ ბელოსტენნი

არა, ასე სრულებითაც არ გახლდათ. მას თავისი ფუნქცია გააჩნდა ნაკრებშიც და, ცხადია, გუნდშიც. თანაც ეს ფუნქცია რეალურზე გაცილებით მოკრძალებულიც რომ ყოფილიყო, ბელოსტენნი, ალბათ, მაინც ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ ფიგურად ჩაითვლებოდა საბჭოთა კალათბურთში, რადგან ჩვენში მაშინ 210 სანტიმეტრზე მაღალი სპორტსმენები იშვიათობას წარმოადგენდა და მათდამი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ. გავიხსენოთ თუნდაც კუიბიშევის „კრილია სოვეტოვში" მოთამაშე უნიჭო სიზონენკო, რომლის გამოჩენასაც ტრიბუნები უდიდესი ოვაციით ხვდებოდნენ. ასე იყო თუ ისე, ბელოსტენნი მაინც საკმაოდ შრომატევად სამუშაოს ასრულებდა და, როგორც მასთან საუბრისას გაირკვა, თავისი მდგომარეობით უკმაყოფილო სრულებითაც არ ყოფილა. ყოფილ თანაგუნდელს თავის კიევურ ბინაში შევხვდი და იქვე ვესაუბრე. უფრო სწორად, შევხვდით მე და ჩემი უკრაინელი კოლეგები. ამჟამად ბელოსტენნი არც უკრაინაში და არც რუსეთში აღარ ცხოვრობს. მას არც კალათბურთთან ან სპორტთან აქვს რამე საერთო და თუ რით არის დაკავებული, ამას ჩემზე უკეთ თავად მოგახსენებთ.

— უკვე რამდენიმე წელია, რაც აქტიურ სპორტს თავი დავანებე. სიმართლე რომ გითხრათ, თავდაპირველად ძალიან გამიძნელდა. არ ვიცოდი, რისთვის მომეკიდა ხელი. მართლაც ძალიან ძნელი ყოფილა ცხოვრების წესის ასე ნაუცბათევად გადასხვაფერება. ერთი ხანობა მწვრთნელობა ვცადე, მაგრამ ამასაც მალე დავანებე თავი, რადგან მივხვდი, ეს ჩემი საქმე არ იყო...

**— რატომ, არ გამოგდიოდათ?**

— იცით... მომბეზრდა. მწვრთნელობა კი არა, კალათბურთი მომბეზრდა. კარიერის დასასრულს უკვე ვგრძნობდი, რომ იგი სიამოვნებას ველარ მანიჭებდა, თუმცა გერმანიაში ვთამაშობდი და იმაზე გაცილებით მეტი ანაზღაურება მქონდა, ვიდრე სამშობლოში. რამდენიმე წელი კიდევ თავისუფლად შევძლებდი თამაშს, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, არ ვისურვე. ვიფიქრე, იქნებ მწვრთნელობა შევძლო-მეთქი, მაგრამ არაფერი გამოვიდა და საერთოდ ჩამოვშორდი კალათბურთს.

**— ნუთუ ახლა მატჩებს მაინც არ უყურებთ?**

— ტელევიზიითაც ვუყურებ, ისეც ვესწრები და საერთოდ მსოფლიოში მიმდინარე საკალათბურთო მოვლენების საქმის კურსში, ვარ. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს.

**— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ახლა საზღვარგარეთ ცხოვრობთ.**

— როცა კალათბურთს თავი დავანებე, არჩევანი გავაკეთე და გერმანიაში, ქალაქ ბერლინში, უკრაინული ტიპის რესტორანი გავხსენი. ახლა იმაზე ვმუშაობ, რომ იქნებ რაღაც ქსელის მაგვარი გავაკეთო. ალბათ, უახლოეს მომავალში კიდევ ორ რესტორანს გავხსნი, ჰალეში და როსტოკში.

**— რადგან გაფართოებას ცდილობთ, ესე იგი, საქმეც კარგად მიგდით.**

— არა უშავს. თანაც ეს რაღაც ოჯახური ბიზნესის მაგვარია. ჩემი ოჯახი ჩემთან არის, გარდა ამისა, ნათესავებიც მეხმარებიან. პრინციპში, სხვა სიტუაციაში ამის გაკეთება გამიჭირდებოდა, მაგრამ ვინაიდან გერმანიაში კარგა ხანს ვთამაშობდი, გარკვეული შეღავათებიც მივიღე.

**— ხანგრძლივი საკალათბურთო კარიერიდან, ალბათ, საუკეთესო მოგონებაც დაგრჩებოდათ...**

— მე ასე არ ვიტყოდი, ყველაფერი საუკეთესო იყო, დაწყებული ბავშვთა სექციაში მისვლიდან, კარიერის ბოლომდე. ყველაფერს თავისი ხიბლი აქვს და გამოყოფა გამიჭირდება. ზუსტად ასევე მიჭირს ყველაზე დიდ იმედგაცრუებასა თუ ნაღველზე საუბარი.

**— კიევის „სტროიტელიდან" ცსკა-ში თქვენი გადასვლა. კიევში ჩემი კოლეგებისგან გავიგე, ამ ფაქტს თავის დროზე არაჯანსაღი აჟიოტაჟი მოჰყოლია.**

— ასეც იყო. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ვიღაცეები შინ გვირეკავდნენ და გვემუქრებოდნენ. სიმართლე რომ ვთქვა, ამისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ მაინც უსიამოვნო იყო. ამ დროს ტკაჩენკო უკვე გადასული იყო ცსკა-ში და ჩემი წასვლა, ალბათ, ამიტომაც აღიქვეს ასე მძაფრად. დაიწყო ასეთი შემთხვევებისთვის დამახასიათებელი საუბრები ღალატზე, მაგრამ გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა და მას არაფრის დიდებით არ შევცვლიდი.

**— ცსკა-ში აკლიმატიზაცია გაგიძნელდათ?**

— თავიდან მქონდა გარკვეული პრობლემები, მაგრამ გუნდსაც და ქალაქსაც საკმაოდ მალე შევეჩვიე.

**— ალბათ, უარს არ იტყვით იმაზე, რომ ცსკა-ში და, განსაკუთრებით, ნაკრებში თქვენ ძირითად ცენტრად არ ითვლებოდით.**

— რა თქმა უნდა, პირველობა ყველა ადამიანს ძალიან უნდა და ეს სრულებით ბუნებრივი სურვილია. გამონაკლისი არც მე ვყოფილვარ, მაგრამ ამაზე განსაკუთრებით არ მიდარდია. უბრალოდ, გუნდშიც და ნაკრებში ჩემი ადგილი მქონდა, ეს კარგად გავითავისე და რამდენადაც შემეძლო, ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. ცსკა-ში პირველ ცენტრად ტკაჩენკო ითვლებოდა, ნაკრებში კი საბონისი. ხომ უაზრობა იქნება იმის მტკიცება, რომ მე მათ ვჯობდი და უსამართლოდ ვიჩაგრებოდი. თავადაც ხედავთ, ამჟამადაც როგორ თამაშობს ნბა-ში ფეხმტკივანი საბონისი. საერთოდ საბჭოთა ნაკრებს ძალიან ძლიერი „მძიმე არტილერია" ჰყავდა და ამ კომპანიაში ყოფნით მე ყოველთვის ვამაყობდი.

ცსკა-ში კი უფრო მეტად მიწევდა თამაში. მართალია, ტკაჩენკო მაინც ძირითადად ითვლებოდა, მაგრამ მეც ხომ მქონდა ჩემი პლუსები. მაგალითად, უფრო გამძლე ვიყავი, ამასთან ერთად, უფრო მოძრავიც.

**— ნაკრებში თქვენთან ერთად ჩემი თანამემამულე, ნიკოლოზ დერიუგინიც თამაშობდა.**

— თამაშობდა, მაგრამ დერიუგინთან მოედანზე ურთიერთობა უფრო ხშირად საკავშირო ჩემპიონატისას მიწევდა ხოლმე, ჯერ „სტროიტელის", ხოლო შემდეგ ცსკა-ს შემადგენლობაში. საქმე ის არის, რომ დერიუგინი, ისევე როგორც მე, ნაკრებში დამხმარე ცენტრად ითვლებოდა და ამიტომ ჩვენ მეტწილად ძირითადი ცენტრების ხელშეწყობა გვევალებოდა. ამის გამო მოედანზე იშვიათად ვიყავით ერთად. საკავშირო ჩემპიონატში კი პირიქით, ძალიან ხშირად გვიწევდა ერთმანეთთან თამაში, თუმცა სხვადასხვა გუნდში. ერთობ ჭკვიანი და მოაზროვნე კალათბურთელი იყო. საერთოდ ისე მოხდა, რომ „სტროიტელისა" და თქვენი „დინამოს" მატჩები განსაკუთრებით დაძაბული იყო, რადგან იმ პერიოდში ოქროს მედლებისათვის „ჟალგირისი" და ცსკა იბრძოდნენ, ხოლო ბრინჯაოს მედლებისათვის კი, რამდენიმე სხვა გუნდთან ერთად, „დინამო" და „სტროიტელი". ალბათ, ეს დაძაბულობაც ამით იყო განპირობებული. თუმცა, მოგეხსენებათ, შემდეგ მე ცსკა-ში გადავედი და თვისობრივად უფრო მაღალი ჯილდოებისთვის დავიწყე ბრძოლა.

**— ახლა გაქვთ ურთიერთობა ძველ პარტნიორებთან?**

— პერიოდულად ტელეფონით თუ ვსაუბრობთ ხოლმე. თუმცა ეს იშვიათად. ახლა კიევში ვარ და ბევრი მოვინახულე. სხვათა შორის, როცა მოსკოვის ცსკა გერმანიაში იყო, მაშინაც ვეწვიე მათ და თამაშსაც დავესწარი.

**— როგორ ფიქრობთ, კალათბურთმა ამ ბოლო წლებში დიდი ცვლილება განიცადა?**

— ვთვლი, რომ საოცრად დიდი. ჩემი აზრით, ევროპული კალათბურთი საკმაოდ „გაამერიკულდა". ეს, უპირველეს ყოვლისა, ძალისმიერი ორთაბრძოლების მომრავლებასა და თამაშის ტემპის მომატებაში გამოიხატა. ახლანდელ თამაშების ცქერისას ეჭვიც კი მეპარება, რომ ჩემი უწინდელი ფორმით უმაღლეს დონეზე თამაშს შევძლებდი. მე და ჩემი თაობა სხვა კალათბურთს ვიყავით ნაჩვევი და ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში, პირადად ჩემთვის, ეს კალათბურთი უცხოა. თუმცა ამაში არაფერია გასაკვირი. ცხოვრება ვითარდება და გამონაკლისი არც კალათბურთია.

**— თქვენს რესტორანს ძირითადად ვინ სტუმრობს?**

— რა ვიცი, სხვადასხვა ხალხი შემოდის, მაგრამ ძირითადად მაინც საბჭოთა ემიგრანტები. სხვათა შორის, ქართველებიც ბევრნი არიან. ბორშჩი, პელმენი, არაყი, უკრაინული ცეკვები და სიმღერები — ყოფილ საბჭოელებს ეს ძალიან სიამოვნებთ.

**ირაკლი სირაძე კიევიდან**
**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა"**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის"**



# მე ჩემი ვცადე, ახლა სხვამ...



გელა ტუკაძეს ნაკრების მწვრთნელობა აღარ უნდა

ბოლო წლების მოვლენებმა სხვა სახეობებთან ერთად ჩვენი წყალბურთიც შეიწირა. როცა ქვეყანა ოდნავ დალაგდა, აქაც გამოჩნდა წინსვლის პერსპექტივა. ავად თუ კარგად, ტარდება ეროვნული ჩემპიონატი. როგორც იქნა, შეიქმნა ეროვნული ნაკრები, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში იასპარეზა. მალე ამ გუნდს ისევ ელის საევროპო თამაშები და ამ დროს მისმა მწვრთნელმა გელა ტუკვაძემ თანამდებობიდან წასვლა გადაწყვიტა. მან ჯერ ცოტა კი იყოყმანა, მაგრამ ახლახან გადადგომის შესახებ განუცხადა ფედერაციის ხელმძღვანელობას.

დაგვეთანხმებით, ეროვნული ნაკრების მწვრთნელის წასვლა მნიშვნელოვანი ამბავია, ასეთ დროს, მით უფრო! მართალია, ტუკვაძეს განცხადება გათავისუფლების თხოვნით ჯერ არ დაუწერია, მაგრამ, ცხადია, თქმაც კი საკმარისი მიზეზია მასთან სასაუბროდ.

— ოფიციალური განცხადება ნაკრების მთავარი მწვრთნელობიდან გადადგომის შესახებ ჯერ არ დამიწერია, მაგრამ ეს დროის საკითხია. ახლახან მხოლოდ სიტყვიერად განვაცხადე, მივდივარ-მეთქი, თუმცა დეკემბრიდან მოყოლებული ამას არ ვმალავდი. ჯერჯერობით ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც ჩემი განცხადება უნდა განიხილოს, არ შემდგარა, როცა გაიმართება, ალბათ, ჩემს თხოვნასაც დააკმაყოფილებენ და ჩემს შემცვლელსაც შეარჩევენ.

**— უმიზეზოდ არაფერი ხდება. თქვენს წასვლასაც ექნება მიზეზი თუ მიზეზები...**

— ჩემი გადადგომის მთავარი მიზეზი ეროვნული ნაკრების მიმართ არასათანადო ყურადღებაა. მართალია, არც მატერიალურად ვარ უზრუნველყოფილი, მაგრამ არ მინდა ვინმემ ისე გამიგოს, თითქოს ამიტომ მივდიოდე. მთავარი და უპირველესი მიზეზი ისაა, რომ საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულ ნაკრებს ყურადღება აკლია. გუნდს რომ ცოტა მეტი ხელშეწყობა ჰქონოდა, არ წავიდოდი. დღეს მე არა მაქვს ჩემი გეგმების განხორციელების საშუალება საწვრთნელი ბაზისა და სათანადო პირობების უქონლობის გამო. მწვრთნელმა უნდა ავარჯიშოს ნაკრები, სათანადოდ მოამზადოს, მისთვის პირობების შექმნაზე კი ფედერაციამ უნდა იზრუნოს და არა მწვრთნელმა.

**— ესე იგი, გინდათ თქვათ, რომ ფედერაცია არ გეხმარებოდათ?**

— ამის თქმა ნამდვილად არ მინდა. თანადგომის და დახმარების გარეშე მართლა არ ვყოფილვართ. ფედერაცია, ალბათ, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში გვეხმარებოდა. მე იმის თქმა მინდა, რომ ეს დახმარება არ კმაროდა, მეტი გვჭირდებოდა. ამ მხრივ ვერც ფედერაციაზე და ვერც მის პრეზიდენტ ვლადიმერ გოიაშვილზე საყვედურს ვერ ვიტყვი. უბრალოდ, ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა არაა საკმარისი ჩვენს ფედერაციაში შემავალი ოთხივე სახეობისთვის. რა თქმა უნდა, იმათაც თავისი [illegible] ღირსებებთან ერთად მისმა „ლაგუნა-ვერეს" ხელმძღვანელობამაც განაპირობა. მის სასარგებლოდ მარტო ისიც მეტყველებდა, რომ უამრავ აუზს შორის მხოლოდ „ლაგუნა-ვერე" მოქმედებდა.

**— საუბრის დასაწყისში თქვით, რომ დასახულ გეგმებს ვერ ახორციელებთ. ამ სიტყვებში მხოლოდ ფინანსურ შეჭირვებას გულისხმობთ თუ თქვენს საქმიანობაშიც ერეოდა, გზღუდავდათ ვინმე?**

— ასეთი არაფერი ყოფილა. ჩემს საქმიანობაში არავინ ერეოდა, მიუხედავად იმისა, რომ არ ვეკუთვნი კატეგორიულ ადამიანთა რიცხვს. მე სხვისი მოსმენაც შემიძლია და სხვისი გონივრული აზრის გაზიარება-გათვალისწინებაც. ჩემი გეგმის განხორციელებაში ხელს უმთავრესად უფულობა მიშლიდა.

**— და მაინც, შეეძლო თუ არა ფედერაციას უფრო მეტად დაგხმარებოდათ?**

— შარშან გარკვეულ წარმატებებს მართლაც მივაღწიეთ, პირობითად და შედარებით, რა თქმა უნდა. ნაკრებს წლეულს უფრო ცოტა, მაგრამ უფრო მძიმე თამაშები ელის და ყურადღებაც მეტი სჭირდება. მისი დღევანდელი პრობლემების შემყურე კი ვხვდები, რომ ნაკრებს კრახი ემუქრება. ამ მხრივ ახალგაზრდულში ყველაფერი უკეთაა. მათ გულშემატკივარიც მეტი ჰყავთ და პირობებიც უკეთესი აქვთ. ეს ფაქტია. წელან ვთქვი, მწვრთნელი მხოლოდ ნაკრების მომზადებით უნდა იყოს დაკავებული, ხოლო დანარჩენზე სხვა უნდა ზრუნავდეს-მეთქი. ეტყობა, ახალგაზრდულს ჰყავს ასეთი ხალხი, თუმცა ის, რაც მათთვის კეთდება, საკმარისი სულაც არ არის. მათაც მეტი სჭირდებათ. ჩვენი წყალბურთის კრიზისი სწორედ თაობათა ჯაჭვის გაწყვეტამ გამოიწვია. თუ ფედერაციის პრეზიდენტი აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებს, შეიძლება ეს მისი სტრატეგიული ჩანაფიქრიცაა და გამართლებულიც გახლავთ, რადგან აქცენტი ახალგაზრდებზე უნდა გაკეთდეს. თუმცა ისიც უეჭველია, რომ ამან ეროვნულ გუნდს ყურადღება არ უნდა მოაკლოს.

**— თქვენს განცხადებას როგორი რეაქცია მოჰყვა?**

— გოიაშვილმა მთხოვა, კიდევ დაფიქრდი და შეცვალე გადაწყვეტილებაო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ როცა ნაკრები შეიქმნა, მან პირველად მე მთხოვა მწვრთნელად მემუშავა. ამ ეტაპზე ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა. არ გავურბივარ პასუხისმგებლობას ან მწვრთნელობის ტვირთს. მე პერსპექტივაში საკუთარი ადგილი ძალიან ბუნდოვნად მესახება ამ გუნდში. ნაკრების მწვრთნელად დანიშვნამდე ერთ-ერთ დიდ ფირმაში ვმუშაობდი მაღალ თანამდებობაზე საკმაოდ კარგი ანაზღაურებით, მაგრამ დანიშვნის შემდეგ წყალბურთს და ნაკრებს დავუთმე ყველაფერი. არა მაქვს იმის ილუზია, რომ ჩემი წასვლით ყველაფერი დამთავრდება. ეს ღმერთმა ნუ ქნას. დღევანდელ [illegible]

**ირაკლი თამაძე**

# „არმადა“ ფსკერისკენ წავიდა



REUTERS მელბურნიდან

მარკ ფილიპუსისი

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

სამპრასისა და რიოსის არყოფნაში კორეტხასა და მოიას მეთაურობით მელბურნში ჩასულ 15 ესპანელს შინ დიდი სლემის ტიტულის წაღების იმედი ჰქონდა — აქაური ნელი საფარი ხომ როლან გაროსულ თიხნართან ერთად მათ უკანახაზელობას ყველაზე მეტად შეეფერება.

თუმცა აქ ევროპელებისთვის ყველაფერი კატასტროფულად დატრიალდა: პირველი წრის შემდეგ ტურნირს ორად ორი ესპანელი შემორჩა — მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული და კლასიფიკაციით მესამე ალექს კორეტხა და მარტინა ჰინგისის ყოფილი ბოიფრენდი ხულიან ალონსო.

მელბურნში წარმატებული ასპარეზობა კორეტხას მსოფლიოს პირველი ჩოგნობის შესაძლებლობას აძლევდა — ამისთვის მას ნახევარფინალში გასვლაც ჰყოფნიდა, თუმცა პირველ წრეში ყველასთვის უცნობ იაპონელ სუძუკისთან შეხვედრის ხუთ სეტად გაწელვამ ნათელი გახადა, რომ ყველაფერი რიგზე არც მის ბანაკში იყო.

მრისხანე მეტოქე ესპანელს არც მეორე წრეში ჰყოლია: 26 წლის ნორვეგიელი კრისტიან რუუდი პროფესიონალებში უკვე შვიდი წელია, ირიცხება, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ერთი ტურნირიც არ მოუგია, მეიჯორებზე მესამე წრეს არასოდეს გასცილებია, კლასიფიკაციაში კი მერვე ათეულს.

კორეტხამ მატჩი თავდაჯერებულად დაიწყო, პირველი სეტიც იოლად მოიგო, მაგრამ მელბურნში თანდათან ქარი რომ გაძლიერდა, მისმა დარტყმულებმა სულ უფრო ხშირად დაიწყო გვერდით თუ კანან ხაზებზე გადაცილება. ამასობაში მეტოქეს რუუდიც გაუშინაურდა, თავისი ერთადერთი იარაღი — მძლავრი ფორჰენდი აამუშავა და ესპანელისგან მალე ქვა ქვაზე აღარ დატოვა 3:6, 6:3, 6:4, 6:4.

„ცუდია, რომ ასეთი მარცხი სწორედ დიდი სლემის ტურნირზე შემემთხვა, ბოლო ორ თვეს ხომ ისე კარგად ვთამაშობდი. დღეს გადავწყვიტე, მეტოქის შეცდომებისთვის დამეცადა, მაგრამ თავად უფრო ხშირად ვცდებოდი — აღნიშნა როლან გაროსის ფინალისტმა — ამ ტურნირს ესპანელებისთვის ცუდს ვერ უწოდებ, მას საშინელი უფრო შეეფერება.“

კორეტხას ფიასკოს შემდეგ ცენტრალურ კორტზე ჯერჯერობით ტურნირის საუკეთესო მატჩი გაიმართა ბუკმეიკერების ფავორიტ მარკ ფილიპუსისსა და მაიკლ ჩანგს შორის.

როგორც მოსალოდნელი იყო, საუკეთესოთა შორის ადგილის დაბრუნებაზე მეოცნებე ამერიკელმა „სკადის“ ტყვიასავით მოწოდებასა და ხმაურიანად მოქომაგე 15 ათას მასპინძელს ყურადღება არ მიაქცია და ფილიპუსისს სამსაათნახევრიანი ბრძოლა გაუმართა.

სისწრაფითა და გამძლეობით გამორჩეული ჩანგისთვის ახლო წარსულში მატჩის მეხუთე სეტში გადაყვანა გამარჯვების ტოლფასი იყო, მაგრამ მასზე ნაკლებად ჯანი არც ორმეტრიან ფილიპუსისს ერჩის, თანაც გუშინ ფორტუნა აშკარად ავსტრალიელის მხარეს იყო: მატჩის უმნიშვნელოვანეს მომენტებში, ბოლოსწინა და ბოლო გეიმებში, ბადეს მოხვედრილი ბურთები ისე გადაგორდა ჩანგის მხარეს, ამ უკანასკნელს მისწრების არანაირი შანსი არ დაუტოვა — 7:6 (7:1), 2:6, 6:3, 5:7, 7:5.

„ამ მარცხთან შეგუება ძალიან ძნელია. ბოლოს მან რამდენჯერაც გარისკა, იმდენჯერ გაუმართლა — დარტყმულები ხან ხაზთან ახლოს ვარდებოდა, ხან ბადის დახმარებით გორდებოდა ჩემს მხარეს“ — დაიჩივლა მოგვიანობით ამერიკელმა.

კიდევ ერთ ხუთსეტიან, საინტერესო ორთაბრძოლაში 19 წლის რუსმა მარატ საფინმა ერთხელაც აჯობა 1997 წლის როლან გაროსის ჩემპიონ გუსტავო კუერტენს 6:3, 5:7, 4:6, 6:3, 6:4. ბრაზილიელ „გუგას“ შარშან საფრანგეთის ღია პირველობაზე ასევე ხუთ სეტში ნაწვნევი მარცხისთვის შურისძიება იქნებ ძალიანაც სურდა, მაგრამ ზორბა თინეიჯერის მძლავრ მოწოდებასა და ორხელა ბექჰენდს ვერც ამჯერად მოუხერხა რამე.

**მეორე წრე. კაცები:** პატრიკ რაფტერი (3, ავსტრალია) — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) 6:2, 6:4, 6:4; ტიმ ჰენმანი (6, ინგლისი) — სენდონ სტოლი (ავსტრალია) 4:6, 7:5, 4:6, 6:1, 6:4; კაროლ კუჩერა (7, სლოვაკეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 7:5, 6:1, 6:4; რიჩარდ კრაიჩეკი (9, ჰოლანდია) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:3, 6:2, 7:5; უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 6:4, 2:6, 6:3, 6:1; მარკ როსე (შვეიცარია) — იენს კნიპშილდი (გერმანია) 6:7 (7:9), 7:6 (7:2), 6:1, 6:3; ტომას ენკვისტი (შვედეთი) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 7:6 (8:6), 7:6 (7:2), 6:0

პირველი, თუმც არცთუ დიდი სენსაცია მეორე წრეში ქალებს შორისაც მოხდა: ასპარეზობას მერვედ განთესილი ცაცია შვეიცარიელი პატი შნიდერი გამოეთიშა.

მაინცდამაინც მოულოდნელი კი მარცხი იმიტომ არ იყო, რომ მისი მეტოქე 19 წლის ამომავალი ფრანგი ვარსკვლავი, თანაც კაცივით ჩაფსკვნილი ამელი მორესმო გახლდათ. შნიდერმა პირველ სეტში ტაი-ბრეიკზე იმარჯვა, მაგრამ მატჩის ბოლოს შესამჩნევად დაიღალა და ფიზიკურად გაცილებით ძლიერ მეტოქესთან ველარაფერი გააწყო 7:6 (7:1), 4:6, 3:6.

დანარჩენმა ფავორიტებმა მეთექვსმეტედფინალს უპრობლემოდ უწიეს.

შესანიშნავ ფორმაშია ამჟამად მსოფლიოს პირველი ჩოგანი ლინდსი დევენპორტი, რომელმაც მორიგი მეტოქის არგენტინელი ფლორენსია ლაბატის 6:2, 6:1 განადგურებას სულ 47 წუთი მოანდომა.

ჯანზე ყოფნას კი ლინდსი, როგორი მოულოდნელიც უნდა იყოს, არატრადიციულ მედიცინას უმადლის: „შარშან იდაყვი ექვსი თვის მანძილზე მაწუხებდა. დეკემბერში დედაჩემმა თითქმის ძალით წამიყვანა კალიფორნიაში მაგნიტური თერაპიის ჩასატარებლად. მკლავი იმ მაგნიტის ქვეშ ხუთი საათი გამაჩერებინეს და იქიდან მოყოლებული იგი ოდნავადაც არ ამტკივებია. ხალხს სჯერა უცნაური რაღაცეების, მე — არა, მაგრამ ამიერიდან შეიძლება აზრი შევიცვალო.“

**მეორე წრე. ქალები:** იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) 6:4, 2:6, 6:3; კონჩიტა მარტინესი (9, ესპანეთი) — ბრი რიპნერი (აშშ) 6:0, 6:4; დომინიკ ვან რუსტი (11, ბელგია) — სედა ნურლანდერი (ჰოლანდია) 7:6 (8:6), 6:0; ნატაშა ზვერევა (15, ბელარუსი) — მაილენ ტიუ (აშშ) 6:3, 7:5; სილვია პლიჩკე (ავსტრია) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:7 (7:9), 6:3, 7:5; ვინუს უილიამსი (5, აშშ) — ასა კარლსონი (შვედეთი) 6:2, 6:1.



REUTERS მელბურნიდან

ამელი მორესმო

**ავსტრალიის** დევისის თასის გუნდში გამეფებულ დროებით ზავს უიმბლდონის ექსჩემპიონმა პატ კეშმა სამშაბათს სატელევიზიო ინტერვიუში მოუღო ბოლო.

შეგახსენებთ, რომ შარშან მარკ ფილიპუსისმა გუნდის კაპიტანსა და მწვრთნელს, — შესაბამისად ჯონ ნიუკომბსა და ტონი როუჩს ყველა შესაძლებელ ცოდვაში დასდო ბრალი და ქვეყნის სახელით ასპარეზობაზე უარი განაცხადა. ამას მეორე მხრიდანაც არანაკლები პასუხი მოჰყვა, მალე ცხარე პოლემიკა გაჩაღდა და „სკადმა“ ლამის მთელი ავსტრალიაც მოიმდურა.

ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის დიდი ძალისხმევით წლის ბოლოს მხარეები თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ და თითქოს ყველაფერი მიწყნარდა, ამიტომ ფილიპუსისის მწვრთნელის, კეშის გამოხტომა ბევრისთვის მოულოდნელიც აღმოჩნდა, მით უმეტეს, რომ ავსტრალიელებს მალე ზიმბაბვესთან შეხვედრა ელით.

„მარკისთვის ძალიან ძნელია ზიმბაბვეში წასვლა და კორტზე იმ კაპიტნის გვერდით ჯდომა, რომელიც არც მას ცემს პატივს და არც მარკისგან მოელის იმავეს — აღნიშნა კეშმა — მაგრამ მარკი ყველაფერს დაივიწყებს, ივარჯიშებს, იმას გააკეთებს, რაც მოეთხოვება და ქვეყნისთვის მოიგებს კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ გვერდით მჯდომ პიროვნებას დასანახად ვერ იტანს“.

თავის დროზე შარისთაობით გამორჩეულმა უიმბლდონის ჩემპიონმა ნიუკომბის საქციელს ლოგიკური ახსნა მოუძებნა: „10-15 წლის წინ კვირა არ გაივლიდა, რომ მას ჩემს წინააღმდეგ პრესაში რაიმე განცხადება არ გაეკეთებინა, ახლა კი ჯავრს, ეტყობა, მარკზე იყრის“.



REUTERS მელბურნიდან

პატ კეში

**პირველი** წრის მატჩზე გერმანელ ოლივერ გაროსთან ორიგინალური ჩაცმულობით გამოცხადება პატრიკ რაფტერს კინაღამ გვარიან თანხად დაუჯდა.

ამერიკის ღია პირველობის ორგზის გამარჯვებული ცენტრალურ კორტზე უბრალო მაისურით, მოკლე და ჭრელი შორტებით გამოვიდა, ცხვირ-პირი კი მზის საწინააღმდეგო კრემით გაეთხუპნა, მოდიდან გადასულ სერფერულ ჩაცმულობას პოპულარობა უნდა დავუბრუნოო.

მაგრამ რაფტერის სახეცვლილებას ტურნირის ორგანიზატორთა აღფრთოვანება არ გამოუწვევია. მატჩის შემდეგ მას მაისური ჩამოართვეს და წესებთან შესაბამისობის დასადგენად მცირე კრებაც მოიწვიეს, თუმცა გასაკიცხი ვერაფერი უპოვეს: რაფტერს ჭკუა ეხმარა და მაისურს პატარა, თვალისთვის ძნელად შესამჩნევი საყელოებიც ჰქონია.

„ამჯერად ჯარიმას, მე მგონი, გადავრჩი, მაგრამ ამის გამეორების უფლებას თუ მომცემენ, არ ვიცი“ — აღნიშნა ავსტრალიელმა.

**ხანგრძლივი** შესვენების შემდეგ პირველად დიდი სლემის ტურნირს გრაფების ჯალაბობა სრული შემადგენლობით დაესწრება.

უკანასკნელად ეს 1995 წლის უიმბლდონზე მოხდა, რამდენიმე კვირით ადრე სანამ ქალიშვილის მენეჯერის თანამდებობაშეთავსებულ პეტერ გრაფს მილიონობით მარკის საგადასახადოსგან დამალვაში დასდეს ბრალი და კარგა ხნით ვირის აბანოში უკრეს თავი.

ამ ხნის მანძილზე შტეფის საქმეებიც უკან წავიდა — ათასგვარი ტრავმით და ფსიქოლოგიური ზეწოლით შეჭირვებული გერმანელის მიერ დაქირავებულ პროფესიონალ მენეჯერს საქმე ბევრი არაფერი ჰქონია — მისი კლიენტი ხომ მთელი ორი წლის მანძილზე თითქმის მთლიანად იყო ჩამოშორებული დიდ სპორტს.

თუმცა 1998 წელი გრაფებისთვის იღბლიანი გამოდგა: აპრილში სასჯელის ნახევარი ვადის მოხდის შემდეგ პეტერი ციხიდან გამოუშვეს, შემოდგომაზე კი შტეფიც მთელი ძალით ათამაშდა და ძველი პოზიციების დაბრუნებაზე პრეტენზიებიც განაცხადა.

კარგა ხნის მანძილზე მამა-შვილი მაინც უბრად იყვნენ, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ბუტიაობა დასრულდა და მელბურნში შტეფის დედასთან ერთად მამაც ჩამოჰყვა საგულშემატკივროდ. „ერთადერთი, რაზეც შემეძლო დამეჩივლა, ჩვენს შორის ახლო ურთიერთობის არქონა იყო. იგი მოვიდა ჩემთან და მითხრა, ამას ველარ გავუძლებო და ჩვენც მაშინვე შევრიგდით“ — აღნიშნა შტეფიმ — „ოღონდ ძველი თანამდებობის დაბრუნებაზე საუბარიც კი არ ყოფილა“.

* * *

**სამაგიეროდ**, ჯარიმების მხრივ გაცილებით ნაკლებად გაუმართლა კიდევ ერთ ავსტრალიელს, ზემოხსენებულ მარკ ფილიპუსისს.

შაბათს ATP ტურმა ბოლო ხანებში პრობლემატურად ქცეული დოპინგის ხმარებისა და სასჯელს გადარჩენილი პეტერ კორდას საკითხის განსახილველად ჩოგბურთელთა კრება მოიწვია. წესების თანახმად, მას მელბურნში მყოფი ყველა მოთამაშე უნდა დასწრებოდა, მაგრამ „სკადმა“ განაცხადა, კორდას ამბავი სულაც არ მაინტერესებო და „შატალო“ გააკეთა.

ფილიპუსისს ჯარიმად 5000 დოლარი დააკისრეს, თუმცა დაკარგული მარკმა ტურნირის პირველივე დღეს აანაზღაურა: მეორე წრეში გასვლისთვის მას 10800 დოლარი ერგო.

**ავთანდილ სვანიძე**

# ქართული მიზეზი: აშკარად ვჯობდით, მაგრამ... წავაგეთ

1998 წელი იწურებოდა. საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა ტონგადან ფაქსს ელოდა. მეტოქეს მსოფლიოს თასის შესარჩევი მატჩის ჩატარების თარიღი უნდა ეცნობებინა. ფაქსი კი ტონგას ნაცვლად უელსიდან მოვიდა. იქაური რაგბის მამები ბორჯღალოსნებს უელსის თასის გათამაშებაში მონაწილეობას სთავაზობდნენ, თანაც მგზავრობისა და იქ ყოფნის ხარჯებს კისრულობდნენ. საქართველოდანაც უმალ აცნობეს, თანახმანი ვართო.

წასვლის წინ რაგბის კავშირის გენერალური მდივანი გია ჭუმბურიძე წუხდა, ლეგიონერებიდან მხოლოდ ორნი, რაფავა და ურჯუკაშვილი დაგვეხმარებიან, თან ბიჭების შეკრებამ უცბად მოგვიწია და ერთად ერთხელაც ვერ ივარჯიშესო. ამ ფაქტორებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ნაკრების თამაშის ხარისხზეო. თუმც იგი წარმატების იმედს მაინც არ კარგავდა, ყოველ შემთხვევაში, ასეთ შედეგს ნამდვილად არ ელოდა.

პირველ მატჩში 0:42 დავმარცხდით, მეორეში — 14:59. ასეთი შედეგი, ალბათ, არ გვაძლევს ტონგელებთან წარმატების საბაბს, მიუხედავად იმისა, რომ ნაკრები, ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით ასპარეზობდა. და მაინც, რა იყო ასეთი საშინელი მარცხის მიზეზი, „აბერავონი" და „ნისი" ხომ ევროპულ გრანდებს არ განეკუთვნებიან? ამის გასარკვევად გუშინ უელსში მყოფ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს ბიძინა გეგიძეს შევეხმიანეთ:

— მარცხის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ნაკრებს 19 კაცი აკლია. ძალიან გვაზარალა შექმნილი მომენტების გამოუყენებლობამაც. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ორივე მატჩში 75 პროცენტ უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ ვერ ვიყენებდით, საპასუხოდ კი კურიოზული ლელოები მივიღეთ. ჩვენ რომ შექმნილი მომენტების ნახევარი მაინც გამოგვეყენებინა, დიდი ანგარიშით მოვიგებდით. რომ არა არბიტრი, „ნისთან" მატჩში აუცილებლად გავიმარჯვებდით. ასეთი მსაჯობა, სიმართლე გითხრათ, არსად მინახავს. თუმცა ისევ უმთავრეს მიზეზზე შევაჩერებ ყურადღებას. მორაგბეები სხვანაირად უნდა მიუდგნენ ვარჯიშს. ეროვნულ პირველობაზე თამაშის დონით ევროპაში ბევრს ვერაფერს მიაღწევენ. ამიტომაც ჩვენი უპირველესი მიზანი ეროვნული პირველობის დონის ამაღლებაა. დღეს მესამე მატჩი გვაქვს „ქერფილთან", მაგრამ უამინდობის გამო მატჩი შეიძლება გადაიდოს. საერთოდ, აქ სათამაშო მინდვრებს ძალიან რბილი გრუნტი აქვს და მობურთალთ უჭირთ თამაში. პატარა წვიმაც კი საშინლად აფუჭებს საფარს. თითქმის შეუძლებელი ხდება თამაში. ასეთ საფარს შეგუება სჭირდება. ვფიქრობ, დღეს გაცილებით უკეთ ვითამაშებთ, თუ შეხვედრა არ გადაიდო.

ბატონი პრეზიდენტის ასეთი განცხადება ცოტა უცნაურად ჟღერს. თავის მართლებას უფრო ჰგავს. გუნდი, რომელიც ლამის მთელი შეხვედრა ფლობს უპირატესობას, ასეთი ანგარიშით არ უნდა მარცხდებოდეს. მიზეზი ალბათ სხვაგანაა საძიებელი. ირლანდიიდან დაბრუნების შემდეგ ნაკრების მწვრთნელმა პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც ხმამაღლა განაცხადა, შემადგენლობას და ტაქტიკას არა მწვრთნელი, როგორც ეს ნორმალურ ვითარებაშია მიღებული, არამედ მწვრთნელთა საბჭო განსაზღვრავდაო. ვინ შედიოდა მწვრთნელთა საბჭოში, გურამ მოდებაძემ არ დაასახელა.

იმდღევანდელ პრესკონფერენციას ბატონმა პრეზიდენტმა გუშინ ღიმილისმომგვრელი უწოდა და ძია ბურძგლას განცხადებაც ანალოგიურად შეაფასა.

— არ ვიცი, ის პრესკონფერენცია საერთოდ ვინ მოაწყო და მწვრთნელსაც არ უნდა გაეკეთებინა ასეთი განცხადება. ყველაფერი ეს ჩემთვის ღიმილისმომგვრელია. დღეს შემადგენლობას და სათამაშო ტაქტიკას გურამ მოდებაძე და კლოდ სორელი საზღვრავენ — გვითხრა ბიძინა გეგიძემ.

სიტუაციის შეფასებისგან ამჯერად თავს შევიკავებთ, მაგრამ თავად ფაქტი, რომ ასეთი მნიშვნელოვანი თამაშის წინ გუნდში არაჯანსაღი სიტუაციაა, რა თქმა უნდა, საწყენია.

ლეგიონერებს რაც შეეხებათ, ლევან ცაბაძის „ნარბონი" ელიტ 1-ის პირველ ჯგუფში მესამე ადგილზეა, თუმცა „სტად ფრანსეს" და „ბიარიცს" მხოლოდ გატანილისა და გაშვებულის უარესი სხვაობის გამო ჩამორჩება. ბოლო ტურში „ნარბონმა" „ბურგუენი" დაამარცხა 25:20. ლიდერმა „სტად ფრანსემ" კი ზაზა ლეჟავას „ორილიაკი" დაიბრიყვა 57:6.

**პაატა თოთაძე**

# ინგლისი დაბრუნდა, იტალია დაზარალდა

ინგლისი ხუთი ერის პირველობას დაუბრუნდა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გუშინ პირველობის საორგანიზაციო კომიტეტმა. არადა, 24 საათის წინ ამავე კომიტეტმა ინგლისს ტურნირში მონაწილეობა აუკრძალა. შეგახსენებთ, უთანხმოება ტელეტრანსლაციებიდან შესული ფულის განაწილებამ გამოიწვია — ინგლისელები სხვებზე მეტს ითხოვდნენ.

ინგლისის რაგბის კავშირის ადმინისტრატორ ბილ ბემონტის განცხადებით, ქვეყნის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა და ხუთი ერის პირველობის საორგანიზაციო კომიტეტი შეთანხმდნენ გარკვეულ საკითხებზე, რის შედეგადაც ინგლისს საშუალება მიეცა, მონაწილეობა მიიღოს ტურნირში. არადა, ინგლისელთა ტურნირიდან გამოთიშვა რას ნიშნავდა, ყველამ კარგად უწყოდა. გარდა იმისა, რომ პირველობას ადრინდელი ლაზათი და ეშხი დაეკარგებოდა, მნიშვნელოვნად შემცირდებოდა ტელეტრანსლაციებიდან შესული თანხები. ამიტომაც საორგანიზაციო კომიტეტი გარკვეულ დათმობებზე წავიდა, ისევე, როგორ ინგლისის რაგბის კავშირი, რომელსაც ბუტიაობა 20 მილიონ დოლარს აკარგვინებდა. რომელმა მხარემ რა დათმო, ამაზე არაფერი თქმულა, მხოლოდ დაზუსტდა, რომ ინგლისელები იმდენს ვერ მიიღებენ, რადენსაც ითხოვდნენ.

— იმედია, პრობლემები დიდი ხნის განმავლობაში აღარ შეგვექმნება. ინგლისელებსა და ჩვენს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე „ხუთ ერს" უახლოესი 10 წლის განმავლობაში საფრთხე არ ემუქრება. მერე არ ვიცი, რა იქნება. მანამდე კი წლევანდელ ტურნირზე ფიქრი გვმართებს. მოხარული ვარ, რომ საკითხი დროულად გადაიჭრა, თუმც უმჯობესი იყო, საერთოდ არ წამოჭრილიყო. ინგლისელები არასდროს იღებდნენ იმაზე ნაკლებს, ვიდრე ეკუთვნოდათ. ასე იყო ყოველთვის და მომავალშიც ასე იქნება — განაცხადა ორგკომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა.

რა ხასიათზე დადგებოდნენ იტალიური რაგბის მამები, ძნელი მისახვედრი არ არის. ისინი ხომ კინაღამ ერთი წლით ადრე ჩაერთვნენ პირველობაში, რაც პრესტიჟის გარდა საკმაო შემოსავალსაც ნიშნავდა. ერთ-ერთი უდიდესი იტალიური კომპანია ნაკრების ხუთი ერის პირველობაზე მონაწილეობის შემთხვევაში სპონსორობას კისრულობდა, თანხა კი 17 მილიონ დოლარს შეადგენდა.

**პაატა თოთაძე**



# ეძებეთ ზანგები!

19 იანვარი

**კალგარი — დეტროიტი 3:1**

1:1 0:0 2:0

0:1 მაკარტი 7'26 (12); 1:1 იგინლა 7'50 (17); 2:1 იგინლა 44'20 (18); 3:1 კესელზი 47'19 (9)

ნჰლ-ში რომ შედეგიანობამ თანდათან იკლო, ამის მიზეზად ბევრი ლიგაში უამრავი ჩინებული მეკარის მისვლას მიიჩნევს. თუნდაც კალგარის მეკარე ფრედ ბრეტუეიტი აიღეთ. იგი, ოდესღაც სამი სეზონის განმავლობაში ედმონტონში მეორე მეკარედ მოთამაშე (1993-95), ჯერ კიდევ დეკემბერში სულაც არ ფიქრობდა იმაზე, რომ მსოფლიოში უძლიერეს ლიგას დაუბრუნდებოდა. იგი კანადის ნაკრების შემადგენლობაში მოსკოვში „ბალტიკის თასზე" ასპარეზობდა, მაგრამ საახალწლოდ კალგარიში მეკარეთა პრობლემა რომ შეიქმნა, კლუბის ხელმძღვანელებს 27 წლის ზანგი ჰოკეისტი გაახსენდათ და აგერ უკვე მეექვსე თამაშია, სპეციალისტები გაოცებას ვერ მალავენ. ამ ხნის განმავლობაში ბრეტუეიტმა სულ 10 გოლი გაუშვა (ეს მაშინ, როცა მის კარში ყველა თამაშში 30-ჯერ მაინც ურტყამენ). მან ერთი შათაუტიც მიითვალა. მისმა გუნდმა კი 7 ქულა დააგროვა. ამჯერად მან დეტროიტელთა კაპიტანი სტივ აიზერმანი (1 პასი მიითვალა და 874 პასით ნჰლ-ის ისტორიაში მე-12 ადგილზე გადაინაცვლა) სამჯერ დატოვა ხახამშრალი, მეორე პერიოდის მიწურულს კი 40 წამის განმავლობაში სერგეი ფიოდოროვის ურთულესი დარტყმები მოიგერია.

**რეინჯერსი — ოტავა 1:2**

1:1 0:0 0:1

1:0 მაკლინი 7'56 (16); 1:1 გარდინერი 15'10 (3); 1:2 ბონკი 49'43 (9)

რადეკ ბონკმა 19 დეკემბრის შემდეგ პირველად გამოიჩინა თავი, ხოლო რეინჯერსმა (44 მატჩიდან 18-ში ნიუიორკელებს ერთ გოლზე მეტი არ გაუტანიათ). თუ ასე გააგრძელა, პლეი ოფზე ველარც იოცნებებს.

**ფინიქსი — სენტ ლუისი 4:2**

0:1 3:1 1:0

0:1 მაკინისი 19'59 (12); 1:1 დოუნი 28'39 (2); 2:1 ტოკეტი 34'18 (14); 2:2 კონროი 35'26 (4); 3:2 დრეიკი 38'13 (8); 4:2 ადამსი 41'20 (9)

ფინიქსის ვეტერან რიკ ტოკეტს (1+1) საიუბილეო, მე-400 გოლს ერთიღა უკლია.

**ლოს ანჯელესი — კოლორადო 4:5**

1:2 1:2 2:1

1:0 გელი 5'58 (2); 1:1 საკიკი 12'16 (17); 1:2 დონოვანი 12'26 (5); 2:2 კურტნოლი 23'16 (2); 2:3 საკიკი 27'46 (18); 2:4 იელე 30'45 (5); 2:5 კამენსკი 44'47 (9); 3:5 რობიტაილი 47'00 (25); 4:5 ოდეტი 59'47 (4)

„მეფეთაგან" მხოლოდ სახელოვანმა ფორვარდმა ლუკ რობიტაილმა გაიხარა. მან ბოლო 10 მატჩში 9 შაიბა გაიტანა, სნაიპერთა დავაში მეორე ადგილზე ალზევდა და მხოლოდ ფილადელფიელ ჯონ ლეკლერს (27) ჩამორჩება. 7 იანვარს რობიტაილმა, ლიგის ისტორიაში 27-ემ, მე-500 გოლი მიითვალა, კოლორადოს კარში მის მიერ შეგდებული შაიბა კი 503-ე გახლდა, რის წყალობითაც ჰოკეისტმა ჯო მულენს გაუსწრო და 25-ე ადგილზე აინაცვლა.

**ნეშვილი — ვანკუვერი 4:1**

1:0 2:0 1:1

1:0 ფიცჯერალდი 11'52 (5); 2:0 კრივოკრასოვი 25'22 (14); 3:0 ეტჩინამი 35'24 (4); 3:1 ბრაშირი 49'52 (5); 4:1 ეტჩინამი 50'44 (5)

პარასკევს ფინიქსთან შეხვედრაში ნეშვილელთა მეკარე ტომაშ ვოკოუნი კლუბის ისტორიაში შათაუტის პირველ შემსრულებლად შევიდა, ამჯერად კი დებიუტანტებმა ვანკუვერთან სეზონური სერია დაასრულეს, რომელშიც ოთხი მატჩიდან სამი მოიგეს.

**ტამპა — ბუფალო 2:1**

1:1 1:0 0:0

1:0 უილკი 2'50 (1); 1:1 შატანი 12'16 (19); 2:1 ზამუნერი 32'43 (2)

ტამპელთა თავკაცი ჟაკ დემერი მთელი სამი კვირა ელოდა ამ დღეს. 8 უზეირო მატჩის შემდეგ „ელვებმა", როგორც იქნა, გაიმარჯვეს და თავიანთი დამრიგებელიც გაახარეს — დემერმა, ლიგის ისტორიაში მეთორმეტემ, მე-400 გამარჯვება იზეიმა, სხვათა შორის, იგი მოქმედ მწვრთნელთაგან მხოლოდ მესამეა, რომელმაც ამ საპატიო ზღვარს მიაღწია.

ერთ-ერთი მათგანი, ცხადია, სკოტი ბოუმენია, მეორე კი ფილადელფიელი როჯერ ნეილსონი — მან ეს იუბილე დემერზე ერთი დღით ადრე აღნიშნა.

## სატურნირო ვითარება

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 44 | 24 | 6 | 14 | 130:100 | 54 |
| ტორონტო | 44 | 25 | 3 | 16 | 142:127 | 53 |
| ბუფალო | 43 | 23 | 7 | 13 | 119:86 | 52 |
| ბოსტონი | 42 | 20 | 7 | 15 | 115:94 | 47 |
| მარსელი | 45 | 17 | 8 | 20 | 106:117 | 42 |

**ატლანტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 43 | 23 | 10 | 10 | 131:86 | 56 |
| ნიუ ჯერსი | 42 | 23 | 5 | 14 | 122:112 | 51 |
| პიტსბურგი | 40 | 20 | 7 | 13 | 120:108 | 47 |
| რეინჯერსი | 44 | 17 | 7 | 20 | 116:122 | 41 |
| აილენდერსი | 44 | 13 | 3 | 28 | 99:129 | 29 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 42 | 27 | 7 | 8 | 123:83 | 61 |
| ფინიქსი | 41 | 24 | 6 | 11 | 110:84 | 54 |
| ანაჰაიმი | 43 | 17 | 8 | 18 | 107:101 | 42 |
| სან ხოსე | 44 | 15 | 11 | 18 | 102:103 | 41 |
| ლოს ანჯელესი | 44 | 16 | 4 | 24 | 104:118 | 36 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 44 | 20 | 7 | 17 | 115:103 | 47 |
| ფლორიდა | 42 | 15 | 11 | 16 | 103:112 | 41 |
| ვაშინგტონი | 42 | 16 | 4 | 22 | 99:109 | 36 |
| ტამპა | 44 | 10 | 4 | 30 | 89:151 | 22 |

**ცენტრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 45 | 22 | 3 | 20 | 131:121 | 47 |
| სენტ ლუისი | 41 | 16 | 9 | 16 | 109:104 | 41 |
| ნეშვილი | 44 | 16 | 4 | 24 | 102:140 | 34 |
| ჩიკაგო | 44 | 12 | 7 | 25 | 94:138 | 31 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 44 | 21 | 4 | 19 | 110:111 | 46 |
| ედმონტონი | 43 | 18 | 6 | 19 | 123:113 | 42 |
| ვანკუვერი | 45 | 15 | 6 | 24 | 115:135 | 36 |
| კალგარი | 45 | 15 | 4 | 26 | 110:135 | 34 |

*ბომბარდირები: ლინდროსი (ფილადელფია) 58 (25+33); კარია (ანაჰაიმი) 58 (18+40); ლეკლერი (ფილადელფია) 55 (27+28); იაგრი (პიტსბურგი) 54 (17+37); იაშინი (ოტავა) 52 (20+32); ფორსბერგი (კოლორადო) 51 (12+39); სელიანე (ანაჰაიმი) 49 (21+28); ფლერი (კალგარი) 47 (21+26); აიზერმანი (დეტროიტი) 47 (19+28); ბრინდამორი (ფილადელფია) 47 (17+30); დემიტრა (სენტ ლუისი) და სტრაკა (პიტსბურგი) 45 (21+24).*

# პაველ ბურე: სანანებელი არაფერი მაქვს


სარბიელის არქივიდან

პაველ ბურე ვანკუვერის ფორმით აღარ ითამაშებს

მოხდა ის, რაც ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ იყო ცხადი. ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო ფორვარდმა პაველ ბურემ ზაფხულშივე კატეგორიული უარი განაცხადა ვანკუვერში თამაშზე. შეიძლება ითქვას, ყველამ — ჟურნალისტებმა, ჰოკეისტებმა თუ მწვრთნელმა მაიკ კინენმა „რუსული რაკეტის" სხვა კლუბში გადასვლა მაშინვე გარდაუვლად მიიჩნიეს. ერთადერთი, ვინც ბოლო მომენტამდე ჯიუტობდა და იმედს არ კარგავდა, კლუბის გენერალური მენეჯერი ბრაიან ბურკი გახლდათ. იგი სულ აჭიანურებდა საკითხის გადაწყვეტას. ამის გამო მასსა და მაიკ კინენს შორის უთანხმოებაც კი ჩამოვარდა. ბურკი მხოლოდ მას შემდეგ გამოფხიზლდა, როცა ვანკუვერის მდგომარეობა კატასტროფული გახდა და წამყვანი ჰოკეისტების ტრავმებს ხანგრძლივი წარუმატებელი სერიაც მოჰყვა. მენეჯერი, როგორც იქნა, შეუდგა კონკრეტული ვარიანტების განხილვას. ბურესთვის ბოლო მომენტამდე რეინჯერსი და ლოს ანჯელესი იბრძოდნენ, ფორვარდი კი მოულოდნელად ფლორიდაში გადავიდა. ასეა თუ ისე, ეს საქმე დასრულდა.

რა მოუტანა ამ გაცვლამ მხარეებს? ვანკუვერი, მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი სნაიპერი დაკარგა, მაინც კმაყოფილი უნდა იყოს. ბურე მისთვის მაინც დაკარგული გახლდათ, მის ნაცვლად მიღებული მოთამაშეები კი საკმაოდ ყოჩაღად გამოიყურებიან. მაიკ კინენი განსაკუთრებით ედ ჟოვანოვსკის მისვლითაა კმაყოფილი. „ეს ის მოთამაშეა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება დაცვითი სისტემის აგება" — ამბობს მწვრთნელი ახალგაზრდა ჰოკეისტზე, რომელიც 1994 წელს დრაფტის პირველი ნომერი იყო. უეჭველად გამოადგება ვანკუვერს საიმედო ცენტრი დეივ განიე, ხოლო მეკარე კევინ უიკსი გარტ სნოუს ღირსეული შემცვლელი უნდა გახდეს.

ფლორიდა, ცხადია, უფრო კმაყოფილია. მრისხანე ფორვარდი გუნდს არცთუ დიდ ფასად დაუჯდა. რაც მთავარია, უვარსკვლავო და საკმაოდ მოსაწყენად მოთამაშე გუნდმა, რომელმაც 1996 წელს თასის ფინალში გასვლის შემდეგაც კი ვერ დაიმსახურა გულშემატკივართა სიმპატიები, როგორც იქნა, შეიძინა ექსტრაკლასის მოთამაშე, რომლის გამოც „პანტერები" უთუოდ ბევრს დაინტერესებს. ისე, შვიდი სეზონის განმავლობაში ვანკუვერში თამაშისას ბურე ქომაგების კერპი გახდა, მზიან ფლორიდაში კი, სადაც ჰოკეის გარდა სხვაც ბევრი გასართობია, შეძლებს იგი მიღწეულის გამეორებას?

სატურნირო მდგომარეობის თვალსაზრისით ფლორიდას პლეი ოფში გასვლის უფრო მეტი შანსი აქვს, თანაც ძირითადად ახალგაზრდებით დაკომპლექტებული გუნდი გაცილებით პერსპექტიულია. სამაგიეროდ, იმავე ნიუ იორკისგან განსხვავებით, მას ისეთი ჩინებული მეპასე არ ეყოლება, როგორიც უეინ გრეცკია და არც ისეთი, როგორებიც ვანკუვერში ჰყავდა იგორ ლარიონოვისა და ტრევორ ლინდენის სახით. ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთი, თუნდაც ასეთი მაღალი კლასის ფორვარდი, როგორიც ბურეა, ფლორიდას სათამაშო ტაქტიკას შეაცვლევინებს. ასე რომ, იგი ძველებურად ბევრს ველარ გაიტანს (კარიერაში სამჯერ ბურემ 50 გოლზე მეტი გაიტანა)

თავად ჰოკეისტი მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ერთობ ოპტიმისტურად იყო განწყობილი:

— ნახევარი წლის გაცდენას სრულიადაც არ ვნანობ და მჯერა, ეს თავგანწირვა მომავალში ამინაზღაურდება — თქვა ბურემ და დასძინა, ასეთ ახალგაზრდა გუნდს ბევრის მიღწევა შეუძლიაო.

„რუსულ რაკეტას", ალბათ, ისიც აძლევს ხელს, რომ მას „პანტერების" საკლუბო რეკორდების განახლების ბრწყინვალე შესაძლებლობა ექნება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთ-ერთ მათგანს, სეზონში 32 გოლს, ბურე სულ იოლად დაამხობს.

**სამველ ლარიბიანი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



REUTERS მარ დელ პლატადან

# რონალდო რონალდოა?

არგენტინის ქალაქ მარ დელ პლატაში 20 წლამდე ასაკის ფეხბურთელები ერთმანეთს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონის ტიტულს ეცილებიან. ტურნირში არგენტინელი, ბრაზილიელი, ჩილელი, პარაგვაელი, პერუელი და ურუგვაელი ყმაწვილკაცები თამაშობენ. ფოტოზე ჩემპიონატის მეორე წრის შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი, ბრაზილიელები პარაგვაელებს დაუპირისპირდნენ — რონალდოს დარტყმული ბურთის მოგერიებას მეკარე ხოსე ფერნანდესი ამაოდ ცდილობს. ნაცნობი სურათია არა? რონალდოს გააქვს. ოღონდ ეს პატარა ბიჭი ის რონალდო არ არის, უბრალოდ მისი სეხნიაა. ისე სახელი მშვენიერი შეურჩევია. საკითხავი ახლა ესლაა — მოევლინება საფეხბურთო სამყაროს ახალი „ფენომენი“ რონალდო II?

## ძმები აჯანყდნენ

განთქმულ ინგლისელ მოკრივეს, ორგანიზაციის დაუმარცხებელ ჩემპიონსა და შეფილდელი არაბი მეტალურგის ვაჟს „პრინც“ ნასიმ ჰამედს (ფოტოზე მარცხნივ) თავის მენეჯერ ფრენკ უორენთან (ფოტოზე მარჯვნივ) უჩხუბია.

„უორენი აღარ იქნება ჩემი ძმის მენეჯერი“ — განუცხადებია გუშინ მოკრივის უფროს ძმასა და ფინანსურ მრჩეველს რიათ ჰამედს;

განხეთქილება მოულოდნელი არ ყოფილა. ჰამედი თვლის, რომ მალევე ჩაამთავრებს ათბრძოლიან კონტრაქტს უორენმა რომ გაუჩარხა და თავისუფალი აგენტი შეიქნება. ნასიმ ჰამედს გადაუწყვეტია, რომ წელს მოიგოს სამი დიდი საკრივო დაწესებულების ქამარი და აბსოლუტური ჩემპიონი გახდეს.





REUTERS პარიზიდან

*გუშინ პარიზში ცნობილი ესპანელი მოდელიორის პაკო რაბანის ახალი კოლექციის ჩვენება მოეწყო. რაბანიმ თავისი კაბები ფოტოებზე აღბეჭდილ ამ პირმშვენიერ და ტანკენარ ქალბატონსაც მოარგო. ცხადია, იკითხავთ, სპორტი რაღა შუაშიაო? საქმე ისაა, რომ ადრიანა სკლენარიკოვა ფრანგი ფეხბურთელის, მსოფლიოს ჩემპიონ კრისტიან კარემბუს თანამეცხედრეა. მოდი და ამის მერე ერთი ქართული ლექსი არ გაგახსენდეს — უხერხულია, შენ გერქვას ცოლი...*



REUTERS ბაზელიდან

7 მარტს ფორმულა 1-ის რბოლები დაიწყება, მანამდე კი გუნდები პრეზენტაციებს მართავენ. სამშაბათს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში საზოგადოებას „ზაუბერი“ წარუდგა. ამ ფოტოზეც „ზაუბერის“ ახალი ბოლიდია აღბეჭდილი, რომელთანაც თავმომწონედ დგანან ჟან ალეზი, პედრო დინიცი და გუნდის მენეჯერი პეტერ ზაუბერი.



REUTERS პარიზიდან



REUTERS სიდნეიდან

## აბა, მტკვარზე ყოფილიყო!

სიდნეიში, ზღვის პირზე „ფრინჯის“ ფესტივალის ერთერთ გამოვლინებად იქცა შიშველთა ღამე, რაც ზრდილობიან ენაზე წარმოითქმის როგორც ნუდისტთა თავყრილობა. ნუდისტებმა სერფები დაიღლიავეს და წყნარ ოკეანეში შეცვივდნენ. ისინი სულ ორმოცნი იყვნენ, მაყურებელი კი რვა ათასამდე მოგროვდა. ამგვარი რამ მტკვრის პირასაც რომ გამართულიყო მაყურებელი ოთხმოცი ათასი მაინც შექუჩდებოდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილეები** ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე** მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე** სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური ფეხბურთის განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29